F 171
1967

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

3

მარტი

თბილისი — 1967

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის

დადგენილება

1966—1967 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ

1966 წლის 23 დეკემბერი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ 1966—1967 სასწავლო წლის წარმატებით მოსამზადებლად რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებს, სკოლებს, სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო დაწესებულებებს შორის დროულად გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება.

დიდი მუშაობა ჩატარდა საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის ცხოვრებაში განუხრელად განხორციელებისათვის. მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო სამეურნეო გეგმა წარმატებით შეასრულეს აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებმა, ქალაქებმა: თბილისმა, ქუთაისმა, რუსთავმა, გორმა, ტყიბულმა; აბაშის, გარდაბნის, ზესტაფონის, ზუგდიდის, საგარეჯოსა და სხვა რაიონებმა.

1966 წელს შეფებმა დიდი დახმარება გაუწიეს სკოლებს, სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო დაწესებულებებს ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების უშუალო ხელმძღვანელობითა და დახმარებით. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა,

თბილისი

სამრეწველო საწარმოებმა, მშენებელმა ორგანიზაციებმა, დაწესებულებებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა თავიანთი ინიციატივით, სახსრებით, მასალებითა და მუშა ხელით ააშენეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს 49 ახალი სასკოლო შენობა, 8000 მოსწავლის ადგილით, 4 ახალი ბაგა-ბაღის შენობა. არსებულ სასკოლო შენობებს მიაშენეს (არასრული ცნობებით) 164 საკლასო ოთახი, ბალანსიდან ბალანსზე გადასცეს სკოლებს 17 შენობა 104 ოთახით, სკოლებს გაუკეთეს კაპიტალური და მიმდინარე რემონტი, შეუძინეს ინვენტარი, მოწყობილობა კაბინეტ-ლაბორატორიებისათვის და სახელოსნოებისათვის, მოამარაგეს ისინი სათბობით და სხვა.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქ. თბილისმა, ქობულეთის, ბათუმის, ზუგდიდის, გეგეჭკორისა და მახარაძის რაიონებმა, რომლებმაც ნაკისრი ვალდებულებანი მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს.

სკოლებისადმი ფართო საზოგადოებრივი დახმარების სანიმუშო მაგალითები გვიჩვენეს აჭარის ასსრ ის მშრომელებმა. აქ სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების ინიციატივიანმა მშენებლობამ ფართო გაქანება ჰპოვა, 1966 წელს საზოგადოებრივი სახსრებით აჭარაში აშენდა 28 ახალი სასკოლო შენობა, 2996 მოსწავლის ადგილით და სკოლების კეთილმოწყობის საკითხი საერთო სახალხო საქმედ იქცა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქობულეთის რაიონი, სადაც ნაკისრი ვალდებულებანი დროულად და დიდი გადაჭარბებით შესრულდა. აქ მიმდინარე წელს სკოლების კეთილმოწყობაზე 778.500 მანეთი საზოგადოებრივი თანხა დაიხარჯა.

ვალდებულებები გადაჭარბებით შეასრულეს ბათუმის რაიონის მშრომელებმაც, რომლებმაც სკოლებს 530200 მანეთი საზოგადოებრივი თანხა მოახმარეს.

შეფმა ორგანიზაციებმა სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების კეთილმოწყობაზე დახარჯეს: ზუგდიდის რაიონში—391220 მანეთი; გეგეჭკორის რაიონში—323903 მანეთი; მახარაძის რაიონში—314672 მანეთი.

სკოლებს, სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო დაწესებულებებს დიდი დახმარება გაუწიეს შეფებმა წალენჯიხის, გორის, ახმეტის, ცხაკაიას რაიონებში და ქ. ქუთაისში.

ზემდგომი ორგანოების დადგენილებაში ნათქვამია, რომ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამრეწველო საწარმოები, დაწესებულებები, მშენებელი ორგანიზაციები, სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან გაუწიონ შეფობა სკოლებს, დაეხმარონ მათ მატერიალური ბაზის განმტკიცებაში. ამ დადგენილებით მათ უფლება ეძლევათ უსასყიდლოდ გადასცენ სკოლებს მოწყობილობა და მასალები, აგრეთვე ზეგეგმით დაგროვებათა ანგარიშზე ააგონ ახალი სასკოლო შენობები, გაუკეთონ სკოლებს კაპიტალური და მიმდინარე რემონტი, შეუძინონ ინვენტარი და სხვ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. 1966—1967 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების მომზადების საქმეში მაღალი მაჩვენებლების მ-პოვებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშით დასაჯილდოებლად წარდგენილ იქნას ქობულეთის რაიონი.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა დარჩეს ზუგდიდის რაიონს. გარდამავალი წითელი დროშები გადაეცეთ ბათუმის, გეგეჭკორისა და მახარაძის რაიონებს.

ბათუმის, ზუგდიდის და გეგეჭკორის რაიონებს მიეცეთ ფულადი ჯილდო 1000—1000 მანეთი თვითეულს.

დროშების გადაცემა მიენდოთ საქართველოს სსრ განათლების მინისტრს ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილს და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ლ. ი. მაღლაფერიძეს.

3. ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების მომზადების საქმეში მოპოვებული წარმატებებისათვის დაჯილდოვდნენ განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ქების სიგელით შემდეგი ამხანაგები (სია თან ერთვის).

4. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რაიონული, საქალაქო და ადგილობრივი კომიტეტების თავმჯდომარეებს:

ა) ამთავითვე გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება ახალი, 1967—1968 სასწავლო წლისათვის საუკეთესოდ მოსამზადებლად;

ბ) ფართოდ ჩააბან სოციალისტურ შეჯიბრებაში კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამრეწველო საწარმოები, დაწესებულებები, მშენებელი ორგანიზაციები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები და უზრუნველყონ სკოლები, სკოლა-ინტერნატები და საბავშვო დაწესებულებები შესაფერისი შენობებითა და საჭირო ხელსაწყო ინვენტარით;

გ) დროულად წარმოუდგინონ ცნობები განათლების სამინისტროს და პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **ლ. მალლაფერიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1966—1967 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულების მოსამზადებლად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის მიერ 1966 წლის 23 დეკემბერს მიღებული დადგენილების შესაბამისად დაჯილდოვდნენ განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ქების სიგელით შემდეგი ამხანაგები

აჭარის ასს რესპუბლიკიდან

1. ბოლქვაძე რეზო კალეს ძე—ქ. ბათუმის პიონერთა პარკის დირექტორი

2. კალანდაძე სიმონ თედორეს ძე—ქობულეთის რაიონის აჭყვის საშუალო სკოლის მასწავლებელი

3. მეგრელიძე ჯემალ თემურის ძე—ქობულეთის რაიონის კოხის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

4. კობალაძე ხუსეინ ოსმანის ძე—ქობულეთის რაიონის ჩეხედანის დაწყებითი სკოლის გამგე.

5. ქიქავა იზეთ შაქირის ძე—ბათუმის რაიონის ჩაისუბნის საშუალო სკოლის დირექტორი

6. ქიქავა ახმედ უსუფის ძე—ქ. ბათუმის მე-4 სკოლის დირექტორი

7. გოგიტიძე ზია უსუფის ძე—ქ. ბათუმის მე-7 სკოლის დირექტორი

8. გოგიტიძე დავით ხასანის ძე—საქართველოს კპ ქობულეთის რაიკომის პროპაგანდა-აგიტაციის განყოფილების გამგე

9. ჩხაიძე ალექსანდრე—ქობულეთის რაიონის ციხისძირის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. გოგიტიძე ამირან ხასანის ძე—ქობულეთის რაიონის ლელვას კოლმეურნეობის თავმჯდომარე

11. მჟავანაძე მამია ახმედის ძე—ქობულეთის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის საბჭოს თავმჯდომარე

12. მოწყობილი სულეიმან ახმედის ძე—ქობულეთის რაიონის ციხისძირის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

13. ჯაში სულეიმან დურსუნის ძე—სოფ. ქობულეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

14. დევაძე სულეიმან მემედის ძე—ქობულეთის რაიონის აჭყვის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

15. ბასილაძე ომარი ხაკის ძე—მასწავლებელთა პროფკავშირის ქობულეთის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე

16. გოგიბერიძე სემაეთ ხუსეინის ასული—ქობულეთის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი

17. ანთაძე მამია თედორეს ძე—ქობულეთის რაიონის ოჩხამურის საშუალო სკოლის დირექტორი

18. ჯინჭარაძე რევაზ ჰუსეინის ძე—ქობულეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგე

19. აბაშიძე მამია ხასანის ძე — ბათუმის რაიონის წინსვლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

20. მჭედლიშვილი ლევან ჰუსეინის ძე — ბათუმის რაიონის მახოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე

21. ფევაძე ოთარ რამიზის ძე—ბათუმის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

22. ბარამიძე ჰუსეინ შაქირის ძე—ბათუმის რაიონის ჭარნალის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

23. ლეონიძე ლეილა ოსმანის ასული—ბათუმის რაიონის ერგეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე

24. ზაქარაძე სერგო შუქრის ძე—ბათუმის რაიონის თხილნარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

25. ქიქავა ნოდარი ხუსეინის ძე—ბათუმის რაიონის ჩაისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

26. აბულაძე შოთა შუქრის ძე—ბათუმის რაიონის მეჯინისწყლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

27. სამველიძე მამია მუხამედის ძე — ბათუმის რაიონის ახალშენის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

28. მიქელაძე ზია ნურის ძე— ბათუმის რაიონის განათლების განყოფილების გამგე

29. ჩხიკვიშვილი დავითი—განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარე.

ზუგდიდის რაიონიდან

1. ესებუა ნიკოლოზ ფარნას ძე—ინგირის საშუალო სკოლის დირექტორი

2. გულუა გივი სანდროს ძე—კორცხელის საშუალო სკოლის დირექტორი

3. ზვამბაია ბორის გრიგოლის ძე—შამგონის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ამავე სოფლის საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი

4. დემურია მურმან შალვას ძე—საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომის მდივანი

5. კუტალია ილია ივანეს ძე—ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე

6. ქავთარაძე მურადი აკაკის ძე—ქ. ზუგდიდის IV საშუალო სკოლის დირექტორი

7. შანავა გალაქტიონ იაკობის ძე—ოირემეს რვაწლიანი სკოლის დირექტორი

8. ჯიქია ბონდო სერაპიონის ძე—საქართველოს აღკკ ზუგდიდის რაიკომის მდივანი

9. დარსანია პართენ ილარიონის ძე—განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი

10. ნარმანია გრიგოლ—ინგურჰესის მშენებლობის სატრანსპორტო განყოფილების უფროსი

11. ყურუა სერგო კლიმენტის ძე—ქ. ზუგდიდის X საშუალო სკოლის დირექტორი

12. კვარაცხელია ბიქტორ სტეფანეს ძე—საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი

13. ბულლორდავა აპოლონ ჩელიას ძე—რიყის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე

14. შეროზია ამირან დიანოზის ძე—საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომის მეორე მდივანი

15. ქანთარია

31. კუტალია ალექსანდრე ადამურის ძე—რუხის „საქართველოს“ სახ. კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე

32. თირქია შოთა ბარდღუს ძე—გრიგოლიშის რვაწლიანი სკოლის დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგეჭკორის რაიონიდან

1. ჩხოლარია ნოდარ ბაგრატის ძე—საქართველოს კპ გეგეჭკორის რაიკომის პირველი მდივანი

2. ხუროძე ავთანდილ ლაზარეს ძე—საქართველოს კპ გეგეჭკორის რაიკომის მდივანი

3. ცანავა შალვა ვასილის ძე—გეგეჭკორის რაიონის განათლების განყოფილების გამგე

4. დგებუაძე ნაუმ ბათლომეს ძე—დიდიჭყონის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

5. მანია მიხეილ ილარიონის ძე—დიდიჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

6. უჩავა ალექსანდრე დავითის ძე—ინჩხურის შეროზიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

7. პატარაია აბელ გრიგოლის ძე—მუხურჩის საშუალო სკოლის დირექტორი

8. თოდუა ვალერიან თედორეს ძე—სალხინოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე

9. მოწერელია ლიუდმილა ბაგრატის ასული—გაზეთ „კოლხეთის ცისკარის“ რედაქტორი

10. ცაავა გრიგოლ ალექსის ძე—სალხინოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე

11. სურმავა გიორგი მალაქიას ძე—ლემიქავეს რვაწლიანი სკოლის დირექტორი

12. წოწონავა აპოლონ ბაგრატის ძე—აბედათის „შრომის სამეფოს“ სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე

13. ბეჭვაია ჯოდო ბაგრატის ძე—დიდი ჭყონის მახარაძის სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე

14. წულაია ლუკა ბურდღუს ძე—გაჭედილის წინსვლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

15 ჯოჯუა დომენტი შარვანის ძე—ნაგებერაოს რვაწლიანი სკოლის დირექტორი

16. წულაია ნოე დიმიტრის ძე—ინჩხურის საშუალო სკოლის დირექტორი

17. ჩიქოვანი ნიკოლოზ გრიგოლის ძე—ვედიდკარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

18. დარჯანია სტეფანე პავლეს ძე—ონოღიის საშუალო სკოლის დირექტორი

19. ჯელია გრიგოლ სამსონის ძე—სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი

20. სურმავა აკაკი იოსების ძე—გეგეჭკორის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

21. ჭოჭუა ნადეჟდა ლუკას ასული—განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის გეგეჭკორის რაიკომის თავმჯდომარე.

მახარაძის რაიონიდან

1. სარიშვილი მამია ოქროპირის ძე—სილაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

2. გოგუაძე ჭიჭიკო მაქსიმელის ძე—სილაურის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი

3. მექვაბიშვილი ირნა კონსტანტინეს ძე—სილაურის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

4. გოგუაძე ტიტე ივანეს ძე—სილაურის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

5. გორდელაძე ამბროსი—ლიხაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

6. ბურჭულაძე რუბენ დიმიტრის ძე—ლიხაურის საშუალო სკოლის დირექტორი

7. დოლიძე ტუშა გრიგოლის ასული—მახარაძის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორი

8. ვასაძე მიხეილ სარდიონის ძე—მახარაძის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი

9. ღლონტი ანტონი ერასტის ძე—განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეც. დაწესებულ. მუშაკთა პროფკავშირის მახარაძის რაიკომის თავმჯდომარე

10. ვასაძე ერმილე—ლიხაურის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

11. ხავთასი ხარლამპი ივანეს ძე—განათლების განყოფილების გამგე

12. დოლიძე ელენე გიგოს ასული—მახარაძის სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით დარგში.

ახმეტის რაიონიდან

1. ჯამრელიძე კოსტა ერასტის ძე—ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

2. ქადაგიძე თენგიზ იობის ძე—ზემო ალვანის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

3. გოცირიძე ვიქტორ ივანეს ძე—თბილისის მეტრომშენის მმართველი

4, არველაძე დავით სოლომონის ძე—ახმეტის ხე-ტყის დამამუშავებელი კომბინატის დირექტორი

5. გოცირიძე ვლადიმერ ვიქტორის ძე—ახმეტის სატყეო მრეწველობის კომბინატის დირექტორი

6. ქათიბაშვილი ამბაკო გიორგის ძე—ახმეტის სამშენებლო სარემონტო უბნის უფროსი

7. ჯუგაშვილი გენო ლევანის ძე—მატნის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

8. გავარდაშვილი ალექსი ზაქარიას ძე—ოქიოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე

9. ცხოვრებოვი ალექსანდრე სამსონის ძე—დუმასტურას კოლმეურნეობის თავმჯდომარე

10. ნახუცრიშვილი ვისერგი ზაქარიას ძე—მაღრაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

11. ელიბოშვილი სილოვან ვასილის ძე—მაღრაანის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

12. გადავაძე ავთანდილ სერაფიონის ძე—ზემო ალვანის საშუალო სკოლის მშენებლობის სამუშაოთა მწარმოებელი

13. ყაჩმაზაშვილი ვიქტორი ვლადიმერის ძე—ახშანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

14. სალაძე სერგო ვარლამის ძე—ახმეტის რაიონის განათლების განყოფილების გამგე

15. შავლოხოვი ლავრენტი ილიას ძე—განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ახმეტის რაიკომის თავმჯდომარე

16. დავიდოვი სიმონ ესტატეს ძე—ახმეტის მეორე საშუალო სკოლის დირექტორი

17. ბობიაშვილი ისაკი თედორეს ძე—ახმეტის რაიონის საკობიანოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე

18. უშარაული ნინო დიმიტრის ასული—ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის საშუალო სკოლის მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე.

19. კონსტანტინიდი ვარა ზაქარიას ასული—ახმეტის რაიონის სოფ. ზემოხოდაშნის დაწყებითი სკოლის გამგე მასწავლებელი.

გორის რაიონიდან

1. კაპანაძე ბაგრატ ალექსანდრეს ძე—კარბის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე

2. სუხიტაშვილი ვლადიმერ არმენის ძე—ქვეშის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე

3. მახარაშვილი მარიამ ზაქარიას ასული—გორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე

4. საგანელიძე აკაკი ანდროს ძე—ატენის სკოლა-ინტერნატის დირექტორი

5. მღებრიშვილი არტემ ივანეს ძე—ქახვრელის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე

6. კორაშვილი ტარიელ ნიკოლოზის ძე—მერეთის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე

7. სირბილაძე დავით გიორგის ძე—ბერბუკის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

8. სადაღაშვილი კარლო გიორგის ძე—ქახვრელის საშუალო სკოლის დირექტორი

9. ხუციშვილი გოჯასპი სიმონის ძე—ზეღდულეთის საშუალო სკოლის დირექტორი

10. შალამბერიძე არჩილ ნიკოლოზის ძე—ხელთუბნის საშუალო სკოლის დირექტორი

11. მეზვრიშვილი გიორგი გიორგის ძე—განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარე

12. ჩხეიძე ავთანდილ რევაზის ძე—განათლების განყოფილების გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალტუბოს რაიონიდან

1. ხაჭაპურიძე ალექსანდრე მინას ძე—წყალტუბოს მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე

2. შალამბერიძე გიორგი შალვას ძე—საქართველოს კომუნისტური პარტიის წყალტუბოს რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე

3. მელაძე ივანე ილიას ძე—წყალტუბოს რაიონის განათლების განყოფილების გამგე

4. ძოძუაშვილი შოთა ვლადიმერის ძე—წყალტუბოს რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი

5. საჩკოვი მურმან კონსტანტინეს ძე—გვიშტიბის საშუალო სკოლის დირექტორი

6. კინწურაშვილი ქსენია ტარასის ასული—სოფ. წყალტუბოს საშუალო სკოლის დირექტორი

7. ტუკვაძე ვალერიან ამბროსის ძე—წყალტუბოს რუსული საშუალო სკოლის დირექტორი

8. მხეიძე ოთარ არქიფოს ძე—წყალტუბოს პირველი საშუალო სკოლის დირექტორი.

9. ნამგალაძე არქიფო ნესტორის ძე—წყალტუბოს მეორე ქართული საშუალო სკოლის დირექტორი

10. იოსელიანი გიორგი სერაფიონის ძე—ქვილიშორის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

11. კაკიტაძე შალვა ვლადიმერის ძე—დერჩის საშუალო სკოლის დირექტორი

12. კახიანი რევაზ ვლადიმერის ძე—საქართველოს გუმბრინის წარმოების დირექტორი

13. სართანია ზაქრო ნიკოლოზის ძე—ოფურჩხეთის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე

14. ჯანელიძე მიხეილ იასონის ძე—ჟონეთის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე

15. ჯიღესაშვილი ალექსანდრე ბესარიონის ძე—ჟონეთის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

16 ნიჟარაძე ვერა პავლეს ასული—მაღლაკის მე-3 დაწყებითი სკოლის გამგე

17. კიკალიშვილი თალიკო კონსტანტინეს ასული—წყალტუ-ბოს ბაგა-ბაღის გამგე

18. ხელაია შოთა ნიკოლოზის ძე—ჯიმისტაროს დაწყებითი სკოლის გამგე

19. ფხაკაძე ლამარა ტრიფონის ასული—მესხეთის საბავშვო ბაღის გამგე

20. ძიძიგური ვალენტინა კლიმენტის ასული—განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეც. დაწესებ. მუშაკთა პროფკავშირის წყალტუბოს რაიკომის თავმჯდომარე

ლანჩხუთის რაიონიდან

1. ხელაძე ივანე მასიკოს ძე—მამათის საშუალო სკოლის დირექტორი

2. შევარდნაძე პრომეთეოზ კონსტანტინეს ძე—მამათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

3. კილაძე ილია ბალავერის ძე—მამათის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე

4. ღლონტი ნესტორ ათანასეს ძე—ქვემო აკეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

5. ღლონტი ალექსანდრე იოსების ძე—ქვედა აკეთის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

6. სალუქვაძე პეტრე მიხეილის ძე—აკეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

7. გოგიჩაიშვილი შალვა კონსტანტინეს ძე—ჭყონაგვრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ბოლნისის რაიონიდან

1. გუსეინოვი ნაბი ისმაილ ოღლი—სოფ. სარაჩლოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე

2. მახმუდოვი ბინატ სოინ ოღლი—სოფ. ფახრალის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

3. კობახიძე ნოდარ ლევანის ძე—ბოლნისის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

4. ნაჭყებია ფილიპე ფარნაოზის ძე

5. ალიევი გასან ომარ ოღლი—სოფ. ქოშაკლისის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზესტაფონის რაიონიდან

1. სამხარაძე მიხეილ მინაგოს ძე—რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

2. ზარნაძე ქაქუცა სიმონის ძე—არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

3. მახათაძე სიმონ ანდრიას ძე—„ზესტაფონმშენის" უფროსი

4. გველესიანი ქეთო გალაქტიონის ასული—ძირულის ცეცხლგამძლე ნაწარმის ქარხნის დირექტორი

5. მაღრაძე გივი სიმონის ძე—სამტრესტის ზესტაფონის სამშენებლო სარემონტო სამმართველოს უფროსი.

ცხაკაიას რაიონიდან

1. მგალობლიშვილი ამირანი ანდრის ძე—II საგზაო უბნის უფროსი

2. კანკავა ალექსანდრე ბათუს ძე—ხორშის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

3. ბარამია ნიკოლოზი გერასიმეს ძე—ნაქალაქევის თევზის სატბორე მეურნეობის დირექტორი

4. ხოფერია რევაზი მიხეილის ძე—ცხაკაიას მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

5. განგია აკაკი ვარლამის ძე—საქართველოს კპ ცხაკაიას რაიკომის პროპაგანდის განყოფილების გამგე

6. ბაღათურია დავით მელიტონის ძე—საწარმოო სამმართველოს უფროსი

7. ცომაია ილია გერასიმეს ძე—საკოლმეურნეო მშენებლობის საბჭოს თავმჯდომარე

8. კურდღელია ალბერტ ნოეს ძე—ძველი სენაკის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

9. ნაროუშვილი მოსე სიდოს ძე—ხალიჩების საქსოვი კომბინატის დირექტორი.

10. შალამბერიძე ომარ ერმილეს ძე—ცხაკაიას ჩაის ფაბრიკის დირექტორი

Ъ 3189.

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

11. ცხვიტავა ნოე ალექსის ძე—ახალი სენაკის საბჭოთა მეურ-
ნეობის დირექტორი

12. შარტავა კალისტრატე თეოფანეს ძე—განათლების განყოფილების გამგე

13. ბაკურაძე ვალოდია როსტომის ძე—ზემო ჭალადიდის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

14. მალანია ოლია ანტონის ასული—ზემო ფოცხის დაწყებითი სკოლის გამგე

15. შონია ნოე პავლეს ძე—საქართველოს კპ ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი

16. კერძაია იერეთეოზ მიტროფანეს ძე—განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი

17. ძველაია შოთა კალისტრატეს ძე—თეკლათის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

18. კოკაია ალიოშა ერმილეს ძე—რაიკომკავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმისა

1967 წლის 17 იანვარი

სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისათვის რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები გუნდების მზადების მდგომარეობის შესახებ

ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭომ გარკვეული მუშაობა ჩაატარეს მოსწავლეთა ნაკრები კოლექტივის სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის.

რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სკოლებში მოყვანილ იქნა წესრიგში არსებული სპორტული ბაზები, აშენებულ იქნა 25 ტანვარჯიშული დარბაზი, 700-მდე სხვადასხვა სახის სპორტული მოედანი და ა. შ. 1966 წლის 1 იანვრისათვის ჩამოყალიბებული იქნა ნაკრები გუნდები სპორტის 19 სახეობაში.

გასული წლის რესპუბლიკური სპარტაკიადისა და ამიერკავკასიის მეგობრული თამაშების ჩატარების შემდეგ, ნაკრებმა გუნდებმა განიცადეს გადახალისება სპორტის სახეობათა მიხედვით, რის შედეგად ძირითადად დაკომპლექტდა რესპუბლიკის ნაკრები კოლექტივი.

სპორტული დაოსტატების მიზნით გადმოყვანილი იქნა რაიონებიდან თბილისში 90-ზე მეტი მოსწავლე, ჩატარდა 100-ზე მეტი სამატჩო შეხვედრა და შეჯიბრება როგორც ადგილობრივ, ისევე

მოძმე რესპუბლიკების მოსწავლეთა ნაკრებ გუნდებთან, სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის ყველა სახეობაში.

ყოველივე ზემოაღნიშნული ღონისძიებების შედეგად ტანვარჯიშში, კრივში, თ/ჭიდაობაში, ხელბურთში, ცურვაში, ფეხბურთში, სროლაში, წყალბურთში, ველოსპორტში, წყალში ხტომასა და ჭადრაკში ნაკრებ გუნდთა მომზადების საქმეში გარკვეული წარმატებებია მიღწეული.

ამასთან კალათბურთში (გოგონები, უფრ. მწვრთნელი გ. ბაბახანიდი), ფრენბურთში (გოგონები, უფრ. მწვრთნელი ს. ტარახჩიანი), კლასიკურ ჭიდაობაში (უფრ. მწვრთნელი ი. ჩხარტიშვილი), მაგიდის ჩოგბურთში (უფრ. მწვრთნელი ი. ხიმშიაშვილი), ფარიკაობაში—ხმალი (უფრ. მწვრთნელი ვ. ქოჩიაშვილი) და მძლეოსნობაში (გუნდის უფროსი ბ. ტახტაროვი) გუნდების საწვრთნელი მუშაობა ჯერ კიდევ მოწოდების სიმაღლეზე არ მიმდინარეობს.

დღემდე მძლეოსნობის, კალათბურთის, ფრენბურთის, კლასიკური ჭიდაობის, ფარიკაობის, ნიჩბოსნობისა და მაგიდის ჩოგბურთის ნაკრები გუნდები არ არიან უზრუნველყოფილი მთლიანად სათანადო სპორტული ბაზებითა და ინვენტარით. ჭაბუკ ხელბურთელებს არ გააჩნიათ ბურთები, ტანმოვარჯიშეებს ბატუტი, მოფარიკავეებს მუზარადები და ელექტრომოწყობილობა, მძლეოსნებს სახტომი ჭოკები, შუბები, ფეხსაცმელი, ველოსიპედისტებს ტრუბკები, ნიჩბოსნებს ნავები და ა. შ.

გუნდების ნორმალური მუშაობა ფერხდება აგრეთვე იმ მიზეზებითაც, რომ რიგი მწვრთნელები არ არიან განთავისუფლებული ძირითად სამუშაოდან (ვ. ვდოვინი სას. სამ. ინსტიტუტი, ო. ჟვანია—პედ. ინსტიტუტი, გ. მაჭავარიანი—პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ი. ჩხარტიშვილი—ნსსს „კოლმეურნეს“ ცენტრალური საბჭო); დღემდე მოუგვარებელია მწვრთნელთა გადაჯგუფების საკითხი (ტანვარჯიშში—ნ. მახვილაძე და ნ. ბახუტაშვილი, ჩოგბურთში—მ. კლდიაშვილი, ფარიკაობაში—ვ. ქოჩიაშვილი, სროლაში—თ. ხერხეულიძე, წყალში ხტომა—ვ. გაიკავი), რაც იწვევს მუშაობისადმი მათი პასუხისმგებლობისა და ინტერესის შესუსტებას.

დღემდე რაიონებიდან არ არის გადმოყვანილი ნაკრები გუნდის ყველა წევრი. ადგილებზე ნაკრებ გუნდებს არ ეწევათ სათანადო დახმარება გამოცდილი მწვრთნელების მივლინებებით და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლებისა და სპორტკავშირის ადგილობრივი ორგანოები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ნიჭიერ სპორტსმენთა გამოვლინებასა და აღზრდის საქმეს. მაგ. ონის, თელავის, სიღნაღის, ზესტაფონის, საგარეჯოს, ახალქალაქის, ცხაკაიას და სხვა რაიონებიდან არცერთი წარმომადგენელი არ არის რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრებ გუნდებში.

საქართველოს სპორტული ფედერაციები და მთავარი მწვრთნელები, საკმაო დახმარებას არ უწევენ მოსწავლეთა ნაკრებ გუნდებს მუშაობაში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. აღინიშნოს, რომ მიუხედავად ჩატარებული ერთგვარი მუშაობისა, სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრებ გუნდებში (კალათბურთსა და ფრენბურთში (გოგონები), კლასიკურ ჭიდაობაში, მაგიდის ჩოგბურთში, ფარიკაობასა და მძლეოსნობაში) სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა დღეისათვის არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებას (ი. ბაცელაშვილი), საქსპორტკავშირის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებას (ა. დოკვაძე) და მთავარ მწვრთნელებს:

ა) სისტემატური დახმარება და კონტროლი გაუწიონ მოსწავლეთა ნაკრები გუნდების სასწავლო საწვრთნელ მუშაობას და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დააყენონ საკითხი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და საქართველოს სპორტკავშირის ხელმძღვანელობის წინაშე შემჩნეული ნაკლოვანებების დაუყოვნებლივ გამოსწორების მიზნით;

ბ) საქმისადმი ინტერესისა და პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით გადასინჯონ მწვრთნელთა შემადგენლობა და საჭიროების შემთხვევაში მოახდინონ მათი სათანადო გადაჯგუფება სპორტის ცალკეულ სახეობათა მიხედვით;

გ) მიიღონ სათანადო ზომები, რათა მოსწავლეთა ნაკრები გუნდების მწვრთნელები, როგორც წესი განთავისუფლდნენ ძირითად სამუშაოდან და გამოყენებული იქნენ მხოლოდ ნაკრებ გუნდებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) მიიღონ ზომები რესპუბლიკის რაიონებიდან ქ. თბილისში ნაკრებ გუნდთა ყველა წევრის გადმოყვანისა და მათთან სპორტული მუშაობის ნორმალურად წარმართვისათვის.

3. გაფრთხილებულ იქნან, მოსწავლეთა ნაკრები გუნდების უფროსი მწვრთნელები, რომ ისინი პირადად აგებენ პასუხს გუნდების მომზადებისათვის, რისთვისაც გააძლიერონ საწვრთვნელი მუშაობა, აწარმოონ სისტემატური წვრთნა, საჭირო შემთხვევაში შეავსონ გუნდები უკეთესი სპორტული მონაცემების მქონე მოსწავლეებით. კალათბურთისა და ფრენბურთის (გოგონების), კლასიკური ჭიდაობის, მაგიდის ჩოგბურთის, ფარიკაობისა და მძლეოსნობის მწვრთნელებმა (გ. ბაბახანიდი, ს. ტარახჩიანი, ი. ჩხარტიშვილი და ნ. დვალიშვილი) მიიღონ ყველა ზომა გუნდების მომზადებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

4. დაევალოს ქ. თბილისის სპორტნაგებობათა სამმართველოს ხელმძღვანელობას (ნ. პაშიკოვი) და განათლების სამინისტროს სპორტულ სკოლას (დ. კინწურაშვილი) ყოველგვარი ზომები მიიღონ მოსწავლეთა ნაკრები გუნდებისათვის სასწავლო-საწვრთვნელ მუშაობაში ნორმალური პირობების შესაქმნელად, რისთვისაც სრულ წესრიგში მოიყვანონ სათანადო სპორტული ბაზები.

5. დაევალოს საქსპორტკავშირის ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილებას (ამხ. ა. მხეიძე):

ა) გადასცეს ნახმარი ბატუტი მოსწავლე ტანმოვარჯიშეთა ნაკრებ გუნდს სსრ კავშირის ხალხთა მეოთხე საიუბილეო სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში;

ბ) გამოუყოს მოსწავლეთა ნაკრებ სპორტულ კოლექტივს 500 საწვრთნელი კოსტუმი;

გ) ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებას მოსწავლე ახალგაზრდობის ნაკრები გუნდების სპორტული ფორმებითა და საჭირო პირველხარისხოვანი ინვენტარით მოსამარაგებლად.

6. აღნიშნული დადგენილების შესრულებაზე კონტროლი დააწესოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ (ი. ბაცელაშვილი)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და საქართველოს სპორტკავშირის მოსწავლე ახალგაზრდობისა და სტუდენტთა განყოფილებამ (ა. დოკვაძე).

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

საქართველოს სსრ სპორტულ
საზოგადოებათა და ორგანიზა-
ციების კავშირის თავმჯდო-
მარე **გ. სიხარულიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 27 იანვრის ბრძანება № 101

კასპის რაიონის ზოგიერთ სკოლაში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა კასპის რაიონის აღაიანის, ახალქალაქისა და კასპის I საშუალო, ნიგოზისა და კოდისწყაროს რვაწლიანი სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების მასალებს, აღვნიშნავ, რომ დასახელებულ სკოლებში მასწავლებელთა ერთი ნაწილი პასუხისმგებლობით ეკიდება მათზე მინდობილ საქმეს და გარკვეულ წარმატებებს აღწევს საგნის სწავლებისა და საერთოდ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისათვის.

კარგად მუშაობენ მასწავლებლები: ქართულ ენასა და ლიტერატურაში ა. ეძგვერაძე, მ. ელისაბედაშვილი და თ. მერაბიშვილი (კასპის I საშუალო სკოლა); რ. კაპანაძე, ა. კეშეშიანი (ახალქალაქის საშუალო სკოლა); რუსულ ენასა და ლიტერატურაში—ინ. ფარემუზოვა (კასპის I საშუალო სკოლა); ფიზიკაში ეთ. ადიკაშვილი (კასპის I საშუალო სკოლა); მათემატიკაში—მ. გახელაძე (კასპის I საშუალო სკოლა); ისტორიაში—შ. ბოჭორიძე (ახალქალაქის საშუალო სკოლა); ლ. ღამბაშიძე, დ. კოპაძე (კასპის I საშუალო სკოლა) და სხვ.

აღნიშნულის მიუხედავად, კასპის რაიონის შემოწმებული სკოლების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანი შეინიშნება.

რიგი ნაკლოვანებებით ხასიათდება აღაიანის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ა. მინდორაშვილის, ნიგოზისა და კოდისწყაროს რვაწლიანი სკოლების მასწავლებლების ც. თავშავაძისა და თ. მაღალდაძის მუშაობა, ისინი უფრო მეტ დროს უთმობენ საშინაო დავალების შემოწმებას, ვინემ ახალი მასალის ახსნას, გაკვეთილის პროცესში აქტიურად ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბამენ მოსწავლეებს, ნაკლებ დროს უთმობენ ახალი მასალის განმტკიცებას.

ახალქალაქის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ ე. გოზალიშვილს აქვს სათანადო ცოდნა და პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება, მაგრამ იგი არ იყენებს მთელ თავის შესაძლებლობას და გაკვეთილებს ინერტულად ატარებს.

გარკვეული ნაკლოვანებები გააჩნია მუშაობაში კასპის I-ლი საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებელ თ. ფარცხალაძეს, რის გამოც ამ სკოლის V—VI კლასების მოსწავლეებმა არადამაკმაყოფილებლად იციან შესწავლილი მასალა.

არასაკმარის მუშაობას ეწევიან წერითი კულტურის ამაღლებისათვის მასწავლებლები ც. თავშავაძე, თ. მაღალდაძე (ნიგოზისა და კოდისწყაროს რვაწლიანი სკოლები), მინდორაშვილი (აღაიანის საშუალო სკოლა). ისინი ყოველთვის დროულად არ ასწორებენ საშინაო და საკლასო წერით ნამუშევრებს, იშვიათად ავარჯიშებენ მოსწავლეებს ნაწარმოებების შინაარსის გადმოცემაში, გმირის დახასიათებისა და თავგადასავლის წერით ჩვევებზე, მაგალითად, კოდისწყაროს რვაწლიანი სკოლის VIII კლასის მოსწავლეებმა ალ. ყაზბეგის მოთხრობის გმირის გოჩას დახასიათების ნაცვლად შინაარსი გადმოსცეს. საკონტროლო წერების ჩატარებისას მოსწავლეებმა I მეოთხედის ნიშნებთან შედარებით დაბალი შეფასებები მიიღეს. მაგალითად, აღაიანის საშუალო სკოლის IX კლასის ზოგიერთმა მოსწავლემ, რომელსაც I მეოთხედში კარგი ნიშანი უწერია, საკონტროლო წერაზე არადამაკმაყოფილებელი ნიშანი მიიღო (მასწ. გ. ნასყიდაშვილი).

რუსული ენის სწავლება კასპის I საშუალო სკოლის V კლასში (მასწავლებელი ზ. პაპიაშვილი) არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. საგნის ღრმა ცოდნას და მეტ პედაგოგიურ დახელოვნებას საჭიროებენ კასპის I საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელი ჯ. ბენიძე, აღაიანის საშუალო სკოლის მასწავლებლები ი. გენებაშვილი და ე. აივაზოვი, ახალქალაქის საშუალო სკოლის მასწავლებელი ლ. ტატანაშვილი და ა. მირიმანოვი. დასახელებული მასწავლებლები გაკვეთილებს ზოგჯერ წინასწარი მომზადების გარეშე ატარებენ, მასალის გამოკითხვის დროს უაზრო, მექანიკურად დაზეპირებული პასუხებით კმაყოფილდებიან. წინასწარ არ ამუშავებენ საწერ მასალას და შესრულებულ სამუშაოს ნაჩქარევად ასწორებენ, უშვებენ შეცდომებს, იშვიათად ასწორებენ წერით საშინაო დავალებას.

ალაიანის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების რუსული ენის მასწავლებლის მ. კლიმიაშვილის მიერ მეთოდგაერთიანებაში წარდგენილი მეთოდური წერილის შემოწმებით ირკვევა, რომ მან სუსტად იცის საგანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად არადამაკმაყოფილებლად ისწავლება რუსული ენა ნიგოზის რვაწლიანი სკოლის დაწყებით კლასებში. მასწავლებელ თ. ხუციშვილს არ შეუძლია ასწავლოს რუსული ენა.

ზოგიერთ შემოწმებულ სკოლაში არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ფიზიკა. ახალქალაქის საშუალო და ნიგოზის რვაწლიანი სკოლების VI კლასების მოსწავლეები (მასწავლებლები გ. გოზალოვი და ი. ბუღულაშვილი) ვერ ახერხებენ ფართობისა და მოცულობის გაზომვაზე უმარტივესი ამოცანების ამოხსნასაც კი, მათ ვერ შესძლეს 25 სმ²-ის დმ²-ში გამოსახვა, 0,15 ჰექტარის კვადრატულ მეტრებში გადაყვანა. 15 ცენტნერის ტონებში გამოსახვა, 50 გრამის კილოგრამებში გადაყვანა, მენზურის გამოყენებით წყლის მოცულობის გაგება და სხვ. ისინი ურთიერთისაგან ვერ ასხვავებენ წონასა და კუთრ წონას. VII კლასის მოსწავლეები სუსტად ერკვევიან სიჩქარის, საშუალო სიჩქარის, ძალის მხარისა და ძალის მომენტის, მექანიკური მუშაობის ცნებაში. VIII კლასელებს არ უტარდებათ ფრონტალური ლაბორატორიული სამუშაოები, არ ეძლევათ ექსპერიმენტული სახის დავალებანი, რის გამოც მათ არა აქვთ გამომუშავებული პრაქტიკული საქმიანობის ჩვევები. ისინი ვერ ახერხებენ ელექტრული წრედის სქემის შედგენას, ვერ იყენებენ საზომ ხელსაწყოებს.

ახალქალაქის სკოლის X კლასებში არ არის ამოხსნილი ამოცანები ელექტროსტატისტიკიდან, ასევე ამოუხსნელია ამოცანები ელექტრული ველის დაძაბულობაზე, როცა ველი შექმნილია ორი ერთნაირი ან ორი სხვადასხვა ნიშნის ელექტრული მუხტით. მოსწავლეები სუსტად ერკვევიან გაზებსა, განმუხტვის სხვადასხვა სახეებსა და ელექტროლიზში. ფიზიკის მასწავლებლები გ. გოზალოვი და ი. ბუღულაშვილი ახალი მასალის ახსნისას ვერ ახდენენ წინა კლასებში გავლილი მასალის განმეორებას, გაკვეთილზე მხოლოდ საშინაო დავალების გამოკითხვით იფარგლებიან და მოსწავლეთა ცოდნას სახელმძღვანელოში მოცემული მასალის მექანიკური დამახსოვრებით აფასებენ, მეოთხედის ნიშნის დადგენისას არ ითვალისწინებენ წერითი და ლაბორატორიულ სამუშაოთა შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდება მათემატიკის სწავლება ახალქალაქის (მასწავლებელი გ. გოზალოვი), კოდისწყაროს (მასწავლებელი ტ. რაზმაძე) სკოლებში. მასწავლებლები უყურადღებოდ ტოვებენ მოსწავლეების მიერ არასწორად გამოთქმულ განმარტებებს და განსაზღვრებას, კლასს ვერ აბამენ მუშაობაში, დიდ დროს უთმობენ გაკვეთილის გამოკითხვას და არ აწარმოებენ საპროგრამო მასალის დოზირებას, რის გამოც ახალქალაქის საშუალო სკოლის VI კლასში გეომეტრიაში ნაცვლად 22 საათისა 8 საათის საპროგრამო მასალა აქვთ გავლილი.

ნიგოზის რვაწლიანი სკოლის V კლასის მოსწავლეების (მასწავლებელი ი. ბუღულაშვილი) დიდმა ნაწილმა არ იცის გამრავლების ცხრილა, წილადის განსაზღვრა და სამნიშნა რიცხვის დაწერაც კი.

აღაიანის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ლ. სამადაშვილი) არ იციან რიცხვიდან კვადრატული ფესვის ამოღება, კვადრატული ფესვის ნიშნიდან თანამამრავლის გამოცნობა და თანამამრავლის კვადრატული ფესვის ნიშნის ქვეშ შეტანა. ამ საკითხზე ჩატარებული საკონტროლო წერის შედეგად მთელმა კლასმა არადამაკმაყოფილებელი ნიშანი მიიღო. X კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ც. იორამაშვილი) არ იციან ალგებრული გამოსახულების გალოგარითმება, ელემენტარული ტრიგონომეტრიული განტოლების ამოხსნა, ნამრავლის და წილადის ლოგარითმი, ამ კლასში ჩატარებული საკონტროლო წერის შედეგად IX კლასში მხოლოდ ერთმა მოსწავლემ მიიღო დამაკმაყოფილებელი შეფასება. ახალქალაქის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლები გ. გოზალოვი და ა. კალოვი გადიან ისეთ საკითხებს, რომლებიც პროგრამიდან ამოღებულია. კლასებში, სადაც ისინი მათემატიკას ასწავლიან, მოსწავლეთა მომზადების დონე დაბალია. სრულ უცოდინარობას ამჟღავნებენ აღაიანის სკოლის X კლასის მოსწავლეები ასტრონომიაში, მასწავლებელ ც. იორამაშვილს არ შეუძლია ასწავლოს ეს საგანი.

არადამაკმაყოფილებლად ფლობს საგანს სოფ. აღაიანის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ტ. გელიაშვილი. ამ სკოლის მოსწავლეები ვერ ახერხებენ ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების გაანალიზებას, მათ გამომუშავებული არ აქვთ რუკაზე მუშაობის ჩვევები, მოსწავლეები ვერ არჩევენ რუკაზე ისტორიულ

ადგილებს, მდინარეებს. მაგალითად, მოსწავლე შ-მა რუკაზე ვერ აჩვენა მდინარე ვოლგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელი ახალ მასალას ხსნის უინტერესოდ, მშრალად, ვერ იყენებს სათანადოდ ისტორიულ რუკას, უგულებელყოფს სქემების, დიაგრამებისა და სხვა თვითნაკეთი თვალსაჩინოების გამოყენებას.

დაბალ დონეზე ჩაატარა ბოტანიკისა და ზოოლოგიის გაკვეთილები კასპის საშუალო სკოლის VI—VII კლასების მასწავლებელმა ე. გიორგაძემ. იგი არ ემზადება გაკვეთილისათვის, არ იყენებს თვალსაჩინოებას. მან VI კლასში გაკვეთილზე, სადაც უნდა განეხილა ვაზი, თვალსაჩინოებისათვის, მოვალეობის მოხდის მიზნით, მხოლოდ ვაზის ღერო შემოიტანა და ამით გააცნო მოსწავლეებს ვაზის აგებულება, მისი სამეურნეო მნიშვნელობა, ბიოლოგიური თავისებურება. მოსწავლეებმა სუსტად იციან გავლილი მასალა.

სკოლას არა აქვს ნაკვეთი, ბიოლოგიის კაბინეტი, ცოცხალი ბუნების კუთხე, არა აქვთ მოსწავლეთა მიერ დამზადებული არცერთი თვითნაკეთი თვალსაჩინო მასალა.

მასწავლებელი იშვიათად ატარებს ცდებს, მოსწავლეებს საცდელი მუშაობის თემატიკის მიხედვით არ აძლევს დავალებებს და არ აკონტროლებს საშინაო რვეულების წარმოებას. მსგავსი მდგომარეობაა აღაიანის საშუალო (მასწავლებელი გ. რატიშვილი) და კოდისწყაროს რვაწლიან (მასწავლებელი ს. ღვინაძე) სკოლებში, სადაც ნაკვეთის გამგედ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მუშაობს.

სათანადო ყურადღება არ ექცევა შრომით სწავლებას აღაიანის საშუალო, ნიგოზისა და კოდისწყაროს რვაწლიან სკოლებში. ამ სკოლებში მოუწყობელია სასწავლო ნაკვეთები, არ აქვთ სახელოსნოები. ნიგოზის რვაწლიან სკოლაში ამ საგნის სწავლება მინდობილი აქვს ისეთ პირს, რომელსაც არ აქვს საამისო განათლება და არც პრაქტიკული გამოცდილება. არცერთი გაკვეთილი ამ საგანში არა აქვთ მოსმენილი აღაიანის საშუალო, ნიგოზისა და კოდისწყაროს რვაწლიანი სკოლების დირექტორებს და სასწავლო ნაწილის გამგეებს.

ზოგიერთ სკოლაში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სასკოლო მუშაობის დაგეგმვის საქმეს, ხშირად იგი ფორმალურ ხასიათს ატარებს. ნაჩქარევად და ზერელედაა შედგენილი სკოლის წლიური

სამუშაო გეგმა, კლასის ხელმძღვანელების, პედაგოგიური საბჭოს, მეთოდური მუშაობის, მშობელთა კომიტეტის გეგმები და სხვ.

ნიგოზის რვაწლიანი სკოლის წლიურ სამუშაო გეგმაში (დირექტორი პ. გოგიშვილი), რომლის შესრულებას არავინ აკონტროლებს, სათანადო ადგილი უკავია საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების, ბავშვთა კომუნისტურად აღზრდის, ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაუმჯობესების, მაღალი აკადემიური მაჩვენებლებისათვის ბრძოლის და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. შემოწმებით კი გამოირკვა, რომ სკოლიდან დაახლოებით 100 მეტრის დაცილებით ერთ ოჯახში სასკოლო ასაკის სამი ბავშვი ცხოვრობს, რომლებსაც სკოლაში არ უსწავლიათ და ამჟამადაც არ სწავლობენ.

ამ სკოლის მიკრორაიონში გამოვლინებულია რელიგიურ-სექტანტური ორგანიზაციების მომქედების ფაქტები, მაგრამ სკოლას არავითარი ყურადღება არ მიუქცევია მოსწავლეთა ათეისტური აღზრდისათვის; არც მშობლებთან არის ჩატარებული ლექციამოხსენებები აღნიშნულ და სხვა საკითხებზე.

აღაიანის საშუალო სკოლის წლიური სამუშაო გეგმით (დირექტორი მ. გოგილაშვილი) კლასის ხელმძღვანელების სამუშაო გეგმების განხილვა-დამტკიცება დირექტორთან ერთად დავალებული აქვს სამნეო ნაწილის გამგეს, ამავე გეგმაში საკითხი სკოლის სამოქმედო რაიონში სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვის შესახებ, სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობის საკითხებთან არის შეტანილი.

კლასის ხელმძღვანელებს აქვთ სამუშაო გეგმები, მაგრამ ეს გეგმები კონკრეტული არაა, მათში არ ჩანს, თუ რა კონტინგენტთან უხდება მასწავლებელს მუშაობა, რა უნდა გაკეთდეს მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისათვის, ვინ ჩამორჩება კლასში და რა გაკეთდა აკადემიური ჩამორჩენილობის სალიკვიდაციოდ, როგორია დისციპლინა სკოლაში.

აღაიანის საშუალო სკოლის დირექციას არა აქვს კლასის ხელმძღვანელების სამუშაო გეგმები, შემოწმების დროს ეს მასალები ზოგიერთ მასწავლებელსაც არ აღმოაჩნდა.

ნიგოზის რვაწლიანი სკოლის კლასის ხელმძღვანელების სამუშაო გეგმები თითქმის ერთნაირია და ურთიერთისაგან მხოლოდ კლასის დასახელებით განსხვავდება. კლასის ხელმძღვანელები მუ-

შაობას თვითდინებით წარმართავენ, სკოლის დირექტორი მათ საქმიანობას არ აკონტროლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პედაგოგიური საბჭოს სამუშაო გეგმებში არ ჩანს ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობის, მასწავლებლებთან მეთოდური მუშაობის, საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელების, აკადემიურად ჩამორჩენილ ბავშვებთან მუშაობის და სხვა საკითხები. პედაგოგიური საბჭოს ოქმები არ იძლევა ნათელ სურათს განხილულ საკითხებზე მიღებულ ღონისძიებათა შესახებ. აღაიანის საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სამუშაო გეგმით ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობის განხილვა დეკემბრამდე არ არის გათვალისწინებული, ოქმში შეტანილია ზოგადი მსჯელობანი აღმზრდელობითი ხასიათის ნაკლოვანებებზე, მაგრამ კონკრეტულად არ არის მითითებული ვის ან რას ეხება იგი.

ნიგოზის რვაწლიანი სკოლის პედაგოგიური საბჭოს სამუშაო გეგმაში საკითხები არასწორად არის ფორმულირებული, დაცული არ არის ზომიერება საკითხთა დაყენებაში. მაგალითად, გეგმაში შეტანილია „სასწავლო საგნების სწავლების მდგომარეობის შესახებ რუსული ენა და ლიტერატურა და ფიზიკა-მათემატიკა V—VIII კლ“. „სკოლაში არ ჩატარებულა გეგმით გათვალისწინებული ყველა სხდომა. ოქმში, სადაც განხილულია საკითხი „მასწავლებელთა შორის გაკვეთილების განაწილების შესახებ“, მხოლოდ მასწავლებლების გვარებია შეტანილი. ოქმში ლაპარაკია კონტინგენტის შენარჩუნებაზე, მაგრამ მოსწავლეთა საერთო რიცხვის 156-დან 150-მდე შემცირების მიზეზებზე არაფერია ნათქვამი.

ახალქალაქის საშუალო სკოლის პედაგოგიურ საბჭოს ოქმში ვხვდებით წინააღმდეგობებსა და შეუსაბამობას. მაგ. გასული წლის 12 ოქტომბრის სხდომაზე განხილულია საკითხი „რუსული ენის სწავლების მდგომარეობის შესახებ III—IV კლასებში“ (მომხსენებელი ნ. ნაზარაშვილი). მომხსენებელი მიუთითებს, რომ დაწყებითი კლასების რუსული ენის მასწავლებლები მუშაობენ წინასწარი შედგენილი გეგმით, მომზადებული ცხადდებიან გაკვეთილებზე, მაღალია მათ მიერ ჩატარებული გაკვეთილის ხარისხი, იცავენ დამუშავებული მასალის სისტემატურობასა და სისრულის პრინციპს, შემდეგ კი აღნიშნულია, რომ მასწავლებლები სუსტად ფლობენ საგანს, ზოგჯერ არასწორად აყენებენ კითხვებს, გაუსწორებელი რჩებათ ორთოგრაფიული შეცდომები და ა. შ.

სკოლები სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან მასწავლებლებთან მეთოდური მუშაობის საქმეს. გეგმებში მკრთალად არის განხილული ან სრულიად არ არის შეტანილი საკითხები გაკვეთილის ეფექტურობის ამაღლებისა და მოსწავლეთა ინიციატივის განვითარების გზებსა და საშუალებებზე. მუშაობის აღმრიცხველ დოკუმენტებში არ ჩანს მასწავლებელთა მოსაზრებანი და შეხედულებანი განხილული თემების იროგვლივ.

ტექნიკურ მეცნიერებათა დისციპლინების საგნობრივ მეთოდგაერთიანების სამუშაო გეგმებში შეტანილი არ არის იმ თემების მეთოდურად დამუშავების ხერხები, რომლებიც უკანასკნელ წლებში იქნა შეტანილი პროგრამაში. მაგალითად, ფიზიკის საგნობრივი მეთოდგაერთიანებები არ იხილავენ ნახევარგამტარების ფიზიკურ თვისებებს, ერთეულთა საერთაშორისო სისტემის, პლაზმის ცნებების, ახალი კონსტრუქციის ხელსაწყოების და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

მეთოდური მუშაობა ჩაშლილია აღაიანის საშუალო სკოლაში. აქ შედგენილია მეთოდგაერთიანებების სამუშაო გეგმები, მაგრამ იგი არავის განუხილავს და არც დაუმტკიცებია. ოქმები, რომლითაც თითქოს მუშაობა აღირიცხება, ზერელე და უშინაარსოა. მოხსენებები, რომლებიც სკოლაში ინახება, უვარგისია თავისი მეცნიერული და მეთოდურ-პედაგოგიური დონის მიხედვით. ამ სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში გ. ქენქაძე საქმისადმი უპასუხისმგებლობას იჩენს, რასაც დირექტორთან არაკოლეგიალური დამოკიდებულებით ხსნის.

ნიგოზის რვაწლიანი სკოლის მასწავლებლები თითქოს ჩაბმული არიან კოდისწყაროს სკოლაში შექმნილ მეთოდურ გაერთიანებაში, მაგრამ სკოლაში ამ მუშაობის ამსახველი არავითარი მასალა არ არსებობს.

გაკვეთილების ცხრილის შედგენის წესი დარღვეულია აღაიანის საშუალო სკოლაში (დირექტორი ზ. გოგილაშვილი, დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში გ. ქენქაძე). ცხრილში თითქმის ყოველთვის მეექვსე გაკვეთილად შეტანილია ფიზიკა, ალგებრა, გეომეტრია და სხვა ძნელად შესათვისებელი საგნები. პირველ, მეორე, მესამე და ზოგჯერ მეოთხე გაკვეთილად თანმიმდევრობით შეტანილია ჰუმანიტარული საგნები, შემდეგ ტექნიკურ მეცნიერებათა დისციპლინები. ცხრილსა და ჟურნალებში სასწავლო დისციპლინათა დასახელებაც კი არასწორადაა შეტანილი. მაგალი-

თად, VIII კლასში ნაცვლად ალგებრისა, არითმეტიკაა შეტანილი. ზოგიერთი საგანი, რომელსაც კვირაში ორი საათი აქვს დათმობილი, ცხრილში ორშაბათსა და შაბათსაა შეტანილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლები ყურადღებით არ ეკიდებიან საგნობრივი წრეების ჩამოყალიბებისა და მათთან მუშაობის საქმეს. ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის და სხვა წრეების სამუშაო გეგმებში შეტანილია საკითხები, რომლებიც მხოლოდ თეორიული ხასიათის მასალებს შეიცავენ; გათვალისწინებული არ არის პრაქტიკული და საცდელი ხასიათის მასალების დამუშავება. შემოწმებულ სკოლებში შექმნილი არ არის კინოსა და საპროექციო აპარატის შემსწავლელი, ფოტომოყვარულთა, მოდელისტთა და სხვა ტექნიკური ხასიათის წრეები. აღაიანის სკოლაში ფორმალურად არსებობს ხატვა-ხაზვის წრე, რომელსაც დღემდე არცერთი მეცადინეობა არ ჩაუტარებია, ხელფასი კი გაცემულია. ნიგოზის რვაწლიან სკოლაში ხატვა-ძერწვის წრის ხელმძღვანელობა გეოგრაფიის მასწავლებელს აქვს მინდობილი, რომელსაც ხატვა და ძერწვა არ შეუძლია ასწავლოს. მასწავლებლები საპროგრამო მასალის თემატიკის მიხედვით გაკვეთილებზე და წრეებთან მუშაობისას იშვიათად იყენებენ სასწავლო კინოს. სკოლები არ მარაგდება საჭირო ფილმებით და დიაპოზიტივებით, არა აქვთ ხმის ჩამწერი აპარატი. საშუალო სკოლებს აქვთ ეპიდიასკოპი, მაგრამ მას მხოლოდ ფიზიკის მასწავლებლები იყენებენ.

არადამაკმაყოფილებლად დგას მოსწავლეების მეცადინეობაზე გამოცხადების აღრიცხვის საქმე ნიგოზის რვაწლიან სკოლაში. აღრიცხვის მასალების მიხედვით მიმდინარე სასწავლო წლის I-ლი სექტემბრიდან 7 ნოემბრამდე (პირველ მეოთხედში) დაგვიანებისა ან გაკვეთილიდან მოსწავლის გაპარვის არცერთი შემთხვევა არ არის აღრიცხული, გაკვეთილების გაცდენა თითქოს არ ყოფილა I—IV და VII კლასებში. VII კლასში გაცდენებისა და დაგვიანებების შემოწმებით გამოირკვა, რომ გაცდენის აღმნიშვნელი ნიშანი საკლასო ჟურნალში შეტანილია მხოლოდ იმ საგნებში, რომელთა წერის ნიშნები შედის დასახელებულ დოკუმენტში. შემოწმების დღეს V კლასში, სადაც 33 მოსწავლე ირიცხება, I—V გაკვეთილები გააცდინა 5 მოსწავლემ, ხოლო VI—12 მოსწავლემ.

ნაკლოვანებანი, რომლებიც შემოწმების შედეგად გამოვლინდა, იმის შედეგია, რომ სკოლის დირექტორები და მათი მოადგი-

ლეები მთელი სერიოზულობით არ ეკიდებიან სკოლის ხელმძღვანელობის საქმეს.

ნიგოზის რვაწლიანი სკოლის დირექტორმა, რომელიც ხშირად აცდენს სამუშაოს, სკოლის შემოწმების დღესაც მიატოვა სკოლა და ტყეში წავიდა. განათლების სამინისტროს ბრიგადას არ მისცა საშუალება მასთან ერთად ემსჯელა სკოლის საქმიანობის ავკარგიანობაზე.

აღაიანის საშუალო სკოლის ხელმძღვანელები მეტ დროს უპრინციპო კინკლაობას ანდომებენ. ახალქალაქის სკოლაში, სადაც დირექტორი და მისი ორთავე მოადგილე ისტორიკოსებია, გრძელდება დაჯგუფება და არაკოლეგიალობა, რაც უარყოფითად მოქმედებს სკოლის ნორმალურ მუშაობაზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მასწავლებლებმა:

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, უზრუნველყონ გაკვეთილების მაღალ პედაგოგიურ-მეთოდურ დონეზე ჩატარება, მიაღწიონ მოსწავლეთა ცოდნის მკვეთრ ამაღლებას;

ბ) სასწავლო მასალა მოსწავლეებისათვის გახადონ გასაგები, ადვილად შესათვისებელი და საინტერესო. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სწავლაში ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებს, არ დაუშვან ლიბერალიზმი მოსწავლის ცოდნის შეფასების საქმეში;

გ) მოსწავლეებს მისცენ წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები, გაზარდონ მათში დავალებათა შესრულების პასუხისმგებლობის გრძნობა;

დ) ძეავსონ სასწავლო კაბინეტები და სახელოსნოები საჭირო მოწყობილობით, მოაწყონ სასწავლო-საცდელი ნაკვეთები და ცოცხალი ბუნების კუთხეები, მოსწავლეებში დანერგონ თვითნაკეთ ხელსაწყოთა დამზადების ჩვევები;

ე) გააუმჯობესონ სკოლისგარეშე და კლასგარეშე მუშაობა. წრეების სამუშაო გეგმებში გაითვალისწინონ ისეთი საკითხები, რომლებიც ხელს შეუწყობენ თეორიული კურსის ღრმად შესწავლას, საცდელი და პრაქტიკული მუშაობის ჩვევების განმტკიცებას;

ვ) აქტიური მონაწილეობა მიიღონ მეთოდური კომისიების მუშაობაში, იზრუნონ თეორიული მომზადების დონის ამაღლებისა და პედაგოგიური დახელოვნებისათვის;

ზ) სისტემატურად აწარმოონ მოსწავლეთა ცოდნის მიმდინარე აღრიცხვა, მეოთხედური და წლიური ნიშნების გამოყვანის დროს ზუსტად იხელმძღვანელონ მოსწავლეთა ცოდნისა და ყოფაქცევის შეფასების ციფრობრივი სისტემის გამოყენების შესახებ არსებული ინსტრუქციით;

თ) საპროგრამო მასალის თემატიკის მიხედვით უზრუნველყონ სასწავლო ექსკურსიების ორგანიზებულად ჩატარება, ეს სამუშაო ისე დაგეგმონ, რომ მან ხელი შეუწყოს და გააღრმაოს მოსწავლეების თეორიული მომზადების დონე.

2. სკოლის დირექტორებმა და დირექტორის მოადგილეებმა სასწავლო მუშაობის დარგში:

ა) გააძლიერონ დახმარება და კონტროლი მასწავლებლების მუშაობაზე; წინასწარ საფუძვლიანად მოემზადონ გაკვეთილზე დასწრებისათვის. გაკვეთილის ანალიზმა ასახოს ძირითადი ნაკლი და დახმარება აღმოუჩინოს მასწავლებელს მეთოდურ-პედაგოგიური დახელოვნების საქმეში.

ბ) იზრუნონ სკოლაში მეთოდური მუშაობის ფართოდ გაშლისა და მასწავლებელთა პედაგოგიურ-მეცნიერული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის; გააუმჯობესონ დახმარება ახალგაზრდა და დამწყებ მასწავლებლებისადმი;

გ) პერიოდულად შეამოწმონ საპროგრამო მასალის გავლის, სასწავლო დისციპლინების სწავლებისა და წერითი სამუშაოების წარმოების მდგომარეობა, გულდასმით შეისწავლონ ნაკლოვანებათა მიზეზები და დასახონ მისი გამოსწორების ღონისძიებები;

დ) ისე დაგეგმონ პედაგოგიური საბჭოების მუშაობა, რომ სხდომებზე განხილული მოხსენებები იძლეოდეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ღრმა ანალიზს, დადგენილებები კონკრეტულად მიუთითებდეს ნაკლოვანებათა გამოსწორების გზებზე;

ე) გაკვეთილების ცხრილის შედგენისას დაიცვან საგნების სიძნელე-სიადვილისა და დღეების თანაბარი დატვირთვის პრინციპი;

ვ) გააუმჯობესონ მოსწავლეთა საგნობრივი წრეების მუშაობა. უზრუნველყონ მათი მონაწილეობა ოლიმპიადებში, კონკურსში, გა-

მოფენებსა და მოსწავლეთა შემოქმედებითი საქმიანობის სხვა ღონისძიებებში;

ზ) სასწავლო წლის მეორე ნახევარში გადასინჯონ და სკოლის წლიური, კლასის ხელმძღვანელთა, პედაგოგიური საბჭოს, მშობელთა კომიტეტისა და სხვა გეგმებში შეიტანონ ისეთი საკითხები, რომელთა გადაწყვეტა ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის ამაღლებას, განამტკიცებს მოსწავლეთა დისციპლინას, გააუმჯობესებს სკოლაში მუშაობის პირობებს;

თ) მტკიცე კონტროლი დააწესონ სასკოლო დოკუმენტების წარმოების საქმეზე; აღმოფხვრან ნიშნების გადასწორების, ამოფხეკისა და საკლასო ჟურნალებში მოსწავლეთა მიერ გაცდენა-დაგვიანების არასწორად შეტანის შემთხვევები. მკაცრად დასაჯონ ამ საქმეში დამნაშავე პირები;

ი) მოაწყონ და სრულ წესრიგში მოიყვანონ ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის კაბინეტები, სახელოსნოები და სასწავლო-საცდელი ნაკვეთები, შეავსონ ისინი საჭირო იარაღ-ხელსაწყოებით, სასწავლო მასალებით და ინვენტარით.

3. განათლების განყოფილებამ (გამგე ა. ბეჟანიშვილი):

ა) გადასინჯოს სკოლების დირექტორებისა და მათი მოადგილეების შემადგენლობა, განათლების სამინისტროს წარმოუდგინოს წინადადებანი იმ სკოლების ხელმძღვანელობაში ცვლილებების შეტანის შესახებ, სადაც დირექტორი და მისი მოადგილე (ან მოადგილეები) ერთიდაიგივე სპეციალობისანი არიან;

ბ) უფრო ქმედითი და ოპერატიული ხელმძღვანელობა დააწესოს სკოლების მუშაობაზე; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმ სკოლების ხელმძღვანელებისა და მასწავლებლების მუშაობას, რომლებიც ამ ბრძანებაში არიან მოხსენებული, როგორც სუსტი მუშაკები;

გ) გარდაქმნას მეთოდური მუშაობა სკოლებში, პირადი კონტროლი დააწესოს მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე გასაგზავნად კონტინგენტის შერჩევის საქმეზე.

4. სასწავლო და მეთოდურ მუშაობაზე არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისა და არაკოლეგიალური მუშაობისათვის აღაიანის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში გ. ქენქაძე გათავისუფლდეს მის მიერ დაკავებული თანამდებობიდან და გამოყენებული იქნეს მასწავლებლად.

5. აღაიანის საშუალო სკოლის დირექტორს ზ. გოგილაშვილს, რომელიც სუსტად ხელმძღვანელობს სკოლას, სათანადოდ ვერ ახორციელებს კონტროლს სკოლისა და მასწავლებელთა მუშაობაზე, გამოეცხადოს სასტიკი საყვედური. კასპის რაიონის განათლების განყოფილებამ მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოსათვის წარმომიდგინოს დასკვნა ახალი სასწავლო წლიდან გოგილაშვილის გამოყენების შესახებ შესაფერ სამუშაოზე.

6. ვინაიდან ნიგოზის სკოლის დირექტორი პ. გოგიშვილი ავადმყოფობის გამო ამჟამად საავადმყოფო ფურცელზეა, მისი სამუშაოზე დატოვების საკითხი განხილულ იქნას საავადმყოფო ფურცლის დახურვის შემდეგ.

7. მიღებულ იქნას ცნობად, რომ კასპის რაიონის განათლების განყოფილებამ გასული წლის 26 სექტემბერს, სკოლაში არსებული მდგომარეობის გამო, სასტიკი საყვედური გამოუცხადა ახალქალაქის საშუალო სკოლის დირექტორს რ. მაღულარიას და დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში ნ. ნაზარაშვილს.

8. ეს ბრძანება განხილულ იქნას განათლების განყოფილების საბჭოსა და კასპის რაიონის სკოლების პედაგოგიურ საბჭოების სხდომებზე და დაისახოს სათანადო ღონისძიებები.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**
1967 წლის 10 თებერვალი

მ ი თ ი თ ე ბ ა ნ ი

საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ

საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო წინადადებას იძლევა ამ ტიპის სკოლებმა იხელმძღვანელონ შემდეგით:

1. საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მიიღებიან ორივე სქესის 16 წლისა და მეტი ასაკის მოქალაქენი, რომლებიც მუშაობენ წარმოებებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე ომისა და შრომის ინვალიდები.

შენიშვნა: ა) საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში მოსწავლეთა მიღებისას მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს III—VIII კლასებში იმ ახალგაზრდების ჩარიცხვას, რომლებიც დასაქმებული არიან სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში;

ბ) გამონაკლისის წესით, საღამოს სკოლებში შეიძლება მიღებულ იქნენ ახალგაზრდები, რომლებიც არ მუშაობენ; სკოლებმა ადგილობრივ ორგანოებთან ერთად უნდა იზრუნონ ამ ახალგაზრდების სამუშაოზე მოსაწყობად;

გ) პროფტექნიკური განათლების სისტემის მოსწავლეები საღამოს სკოლებში მიიღებიან შესაბამისი სასწავლებლის დირექტორის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

2, აკრძალულია 16 წლის ასაკამდე მოსწავლეთა გადაყვანა საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ სკოლებში. რვაკლასდაუმთავრებელი არასრულწლოვანი მოსწავლის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში გადაყვანა შეიძლება მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმის სარაიონო (საქალაქო) კომისიასთან შეთანხმებით, რომელიც ზრუნავს მათ სამუშაოზე მოსაწყობად. აკრძალულია ასეთი მოსწავლის საღამოს სკოლიდან გარიცხვა ზემოთ ხსენებულ კომისიასთან შეთანხმების გარეშე.

3. კატეგორიულად აკრძალულია ყველა ტიპის სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთა ერთი სკოლიდან მეორეში გადასვლა. გამონაკლისის წესით, ჯანმრთელობის ან ოჯახური პირობების გამო, დღის სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთა საღამოს სკოლებში გადასვლა ხდება მხოლოდ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნებართვით (დაწვრილებით იხილეთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წლის 3 სექტემბრის № 1006 წერილი, კრებული № 9—10, 1966 წ.).

4. საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების XI კლასში იმ ერთეული ახალგაზრდების (17 წლის ასაკის ზევით) მისაღებ გამოცდებზე დაშვების საკითხს, რომელთაც სწავლაში ხანგრძლივი წყვეტის (სამი და მეტი წელი) გამო არა აქვთ საბუთი განათლების შესახებ, წყვეტს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

5. წარმოებაში დასაქმებული და საბჭოთა არმიიდან დემობილიზებული სათანადო საბუთების მქონე ახალგაზრდების საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების XI კლასებში ჩარიცხვას უშუალოდ აწარმოებს შესაბამისი ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილების გამგე.

6. სახალხო მეურნეობის რომელიმე დარგში მომუშავე რვაწლიანი ან ათწლიანი სკოლის რვაკლასდამთავრებული პირები ჩაირიცხებიან საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების IX კლასში და საშუალო განათლების მისაღებად ისწავლიან კანონით განსაზღვრულ სამ წელს (IX, X, XI კლასები).

7. ის პირები, რომლებიც დარჩნენ ათწლიანი სკოლის მეცხრე კლასში, მუშაობის დაწყების შემდეგ ჩაირიცხებიან საღამოს სკოლის მეათე კლასში.

8. ის პირები, რომელთაც დაამთავრეს ათწლიანი სკოლის მეცხრე კლასი ან თერთმეტწლიანი საშუალო სკოლის მეათე კლასი და მუშაობენ სახალხო მეურნეობის ერთ რომელიმე დარგში, ჩაირიცხებიან საღამოს სკოლის მეთერთმეტე კლასში.

9. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების V—XI კლასებში მოსწავლეთა მიერ უცხო ენების შესწავლა სავალდებულოა. სკოლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით, დასაშვებია საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების 30 წლისა და მეტი ასაკის მოსწავლეთა უცხო ენის შესწავლისაგან განთავისუფლება. ამ კატეგორიის მოსწავლეთა საბუთში ან ატესტატში „უცხო ენას" გრაფაში ხაზი გაესმება.

10. საღამოსა და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების როგორც დაკომპლექტებულ, ისე ახლად გახსნილ კლასებში მოსწავლეთა მიღება წარმოებს ყოველწლიურად, თვითეული სკოლისათვის სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული კონტინგენტის ფარგლებში.

11. სკოლებისა და კლასების დაკომპლექტებისას ყურადღება უნდა მიექცეს საღამოს სკოლების V—VIII კლასების ქსელის გაშლას.

12. სასწავლო წლის დასასრულს სკოლის დირექტორი, მოსწავლეთა რაოდენობისა და შემდეგი სასწავლო წლის კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმის საფუძველზე, განსაზღვრავს, რომელ კლასში მოსწავლეთა რა რაოდენობა უნდა იქნეს მიღებული და, ამის შესაბამისად, აცხადებს სკოლაში მიღებას.

13. სკოლებში ახალი ნაკადის მიღება ცხადდება 25 მაისიდან 31 აგვისტომდე. სწავლებაში ახალგაზრდების ჩასაბმელად სკოლის დირექტორი, წარმოება-დაწესებულებების ადმინისტრაციასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, ატარებს ახსნა-განმარტებით მუშაობას, აქვეყნებს განცხადებებს, სარგებლობს ახალგაზრდობის კრებებით, ადგილობრივი გაზეთით და რადიოსატრანსლაციო ქსელით.

შენიშვნა: გამონაკლისის წესით სკოლებს უფლება ეძლევათ მოსწავლეთა ჩარიცხვა აწარმოონ სასწავლო წლის პირველ მეოთხედში.

14. საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შემსვლელი პირი განცხადებასთან ერთად წარადგენს შემდეგ საბუთებს:

ა) სკოლის დირექტორის (გამგის) მიერ ხელმოწერილ და ბეჭედდასმულ მოწმობას ან ცნობას განათლების შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ცნობას სამუშაო ადგილიდან;

გ) ცნობას საცხოვრებელი ადგილიდან;

დ) დაბადების მოწმობას;

ე) ცნობას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

15. სკოლაში შემსვლელის განცხადებას და დოკუმენტებს ღებულობს სკოლის დირექტორი ან დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში.

შენიშვნა: იქ, სადაც არის დაუსწრებელი საშუალო სკოლის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი, მოსწავლეთა მიღებას აწარმოებს პუნქტის გამგე. დაუსწრებელი საშუალო სკოლა ვალდებულია დაამყაროს კონტროლი საკონსულტაციო პუნქტების მიერ მოსწავლეთა ჩარიცხვის საქმეზე. მიღების დამთავრების შემდეგ პუნქტის გამგე 1-ლი სექტემბრისათვის სკოლას უგზავნის სასწავლებელში ახლად ჩაბმულთა დოკუმენტებს და ჩატარებული გამოცდების მასალებს.

16. ის პირები, რომელთაც სწავლაში სამ წელზე მეტი წყვეტა აქვთ და სკოლაში შესვლისას განცხადებასთან ერთად ვერ წარმოადგენენ დოკუმენტს განათლების შესახებ, აბარებენ შესასვლელ გამოცდებს (V—X კლასებში დირექტორის ან განათლების განყოფილების, ხოლო XI კლასში მხოლოდ განათლების სამინისტროს ნებართვით) წინა კლასის პროგრამით შემდეგ საგნებში:

V—VI კლასებში მშობლიურ ენაში (წერითი), არითმეტიკაში (ზეპირი);

VII კლასში—მშობლიურ ენაში (წერითი), ალგებრაში (წერითი);

VIII კლასში—მშობლიურ ენაში (წერითი), ალგებრა-არითმეტიკაში (წერითი), გეომეტრიაში (ზეპირი);

IX—X კლასებში—მშობლიურ ენაში (წერითი), ალგებრაში (წერითი), გეომეტრიაში (ზეპირი);

XI კლასში—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნებართვით—მშობლიურ ენაში (წერითი), ალგებრაში (წერითი). გეომეტრიაში (ზეპირი).

შენიშვნა: სკოლებში ამ წესით მიღებული მოსწავლეები ვალდებულნი არიან გამოსაშვები (VIII და XI) კლასის დამთავრებამდე ჩააბარონ გამოცდები ყველა იმ საგანში, რომლებიც შეიტანება რვა-

წლიანი განათლების მოწმობაში ან ატესტატში საშუალო განათლების შესახებ.

17. გამოცდების დროს წერითი სამუშაოს სახეები უნდა შედგებოდეს: მშობლიურ ენაში—წერითი ნამუშევრებისაგან სათანადო კლასისათვის განკუთვნილი წერითი მუშაობის თემატიკის მიხედვით; მათემატიკაში—VII—VIII—IX—X—XI კლასებში ერთი ამოცანისა და ორი მაგალითისაგან.

18. ზეპირი გამოცდები ტარდება ინდივიდუალური გამოკითხვის წესით.

19. გამოცდების ჩასატარებლად წერითი სამუშაოს ტექსტს, კითხვებს, ამოცანებსა და მაგალითებს ამზადებს შესაბამისი საგნის მასწავლებელი და ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

20. გამოცდები ტარდება სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ცხრილით, ამასთან, ჯგუფში ერთ დღეს შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი გამოცდა.

21. საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში შემსვლელს თვითეულ საგანში ცდის სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სათანადო საგნის მასწავლებელი და ასისტენტი.

22. გამოცდების შედეგებს იხილავს სკოლის პედაგოგიური საბჭო. შესაბამის კლასებში მოსწავლეთა ჩარიცხვა წარმოებს პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით და ფორმდება სკოლის დირექტორის ბრძანებით. სკოლაში ახალმიღებულ თვითეულ მოსწავლეზე უნდა შედგეს პირადი საქმე.

23. ტექნიკუმებისა და სხვა სპეციალური საშუალო სასწავლებლების მოსწავლეები, აგრეთვე ამ ტიპის და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებული პირები საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არ მიიღებიან.

24. დღის სკოლებიდან გარიცხული მოსწავლეები საღამოს სკოლაში მიიღებიან გარიცხვის ვადის გასვლის შემდეგ, იმ პირობით, თუ ისინი მუშაობენ.

25. ამ მითითებათა გამოცემასთან დაკავშირებით უქმდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 15 მარტს დამტკიცებული „მითითებანი საღამოს (ცვლის) მუშა და

სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებ-
ლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 10 თებერვლის დადგენილება.

საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების
სამმართველოს უფროსი **რ. კანდელაკი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ. 20 თებერვლის მიმართვა № 9/246

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს

როგორც ცნობილია, ზემდგომ ხელმძღვანელ ორგანოებში სასწავლო წლის შედეგებზე სათანადო მასალების წარსადგენად აუცილებელია ამ საკითხზე ადგილებიდან მოხსენებითი ბარათები.

აჭარის ასსრ განათლების სამინისტრო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, თელავის, მახარაძისა და ზოგიერთი სხვა რაიონის განათლების განყოფილება დღემდე ყოველწლიურად უგზავნიან მოხსენებით ბარათებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში სასწავლო წლის შედეგების შესახებ. მაგრამ ზოგი რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილება საერთოდ არ უგზავნის განათლების სამინისტროს მოხსენებით ბარათს ან ერთ დოკუმენტში ათავსებს მასალებს დღისა და საღამოს სკოლების მუშაობის შესახებ.

მივაქცევთ რა თქვენს ყურადღებას აღნიშნულ საკითხზე, გთხოვთ ყოველწლიურად ცალკე წარმოადგინოთ მოხსენებითი ბარათი საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების მუშაობის შესახებ.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების
სამმართველოს უფროსი **რ. კანდელაკი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ. 21 თებერვლის ბრძანება № 241

საქართველოს სს რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

ზემდგომმა ორგანოებმა საქართველოს სს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების, ქართველ სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლების მიზნით მიიღეს დადგენილება საქართველოს სს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

აღნიშნული დადგენილების შესასრულებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ა. კვაჭაძე), ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებასთან (ი. ბაცელაშვილი) და კადრების განყოფილებასთან (ი. კვაჭაძე) ერთად:

ა) შეადგინოს ცალკეული რაიონების მიხედვით გეგმა იმის გათვალისწინებით, რომ რესპუბლიკის სოფლის ყველა რვაწლიან სკოლაში, სადაც არ არის გამოყოფილი საკმაო რაოდენობის საათები ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა სრული სასწავლო დატვირთვისათვის, 1967—1969 წლებში შემოღებული იქნას ფიზიკური კულტურის მასწავლებლის თანამდებობა, რომელსაც იმავდროულად დაეკისრება კლასგარეშე ფიზკულტურული მუშაობის ორგანიზაცია;

ბ) შეიმუშაოს და წარმოადგინოს წინადადებანი რესპუბლიკის ყველა სასოფლო რაიონში ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტული სკოლების შესაქმნელად და ამ სკოლების ფილიალების რაოდენობის გასადიდებლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მიიღოს საჭირო ზომები, რომ 1967 წლიდან გაუდიდდეთ სკოლებს ასიგნობანი სპორტულ-მასობრივი მუშაობისათვის, სპორტული ინვენტარისა და მოწყობილობის შესაძენად;

დ) 1968 წლის ბიუჯეტის პროექტში გაითვალისწინოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და ჭაბუკთა რესპუბლიკურ სპორტულ სკოლასთან უმაღლესი სპორტული ოსტატობის განყოფილების შენახვის ხარჯები 100 კაცის კონტინგენტით;

ე) საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სათანადო სამმართველოსთან ერთად, საქართველოს მინისტრთა საბჭოში წარსადგენად ერთი კვირის ვადაში მოამზადოს გაანგარიშებანი ასიგნობებისა, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ განხორციელდეს 1967 წელს ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი, რათა წარედგინოს ისინი საკავშირო ორგანოებს;

ვ) სკოლების მასწავლებელთა კვალიფიციური კადრებით უზრუნველსაყოფად დააზუსტოს არსებული მოთხოვნილება და მოამზადოს შესაბამისი ცნობები საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში წარსადგენად 1967 წლის პირველი კვარტალის დამლევამდე;

ზ) თვალყური ადევნოს და სათანადო კონტროლი დააწესოს, რათა შეიქმნას აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროებში ფიზიკური აღზრდის განყოფილებები, ხოლო სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქ. ქ. ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის, რუსთავის, ფოთის, ქუთაისის, ჭიათურის, გორისა და ტყიბულის სახალხო განათლების განყოფილებებში შემოღებულ იქნას ფიზიკური აღზრდის ინსპექტორების თანამდებობანი აღნიშნული ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და ქალაქების სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მუშაკთა საერთო რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

2. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ გაითვალისწინოს 1967—1969 წლებში ქ. თბილისში საქალაქო ცენტრალური საბავშვო სპორტული სკოლისათვის ღია 50 მეტრიანი საცურაო აუზის აშენება წყლის გათბობით და საზაფხულო სპორტული მოედნების მშენებლობა.

3. კაპიტალური მშენებლობისა და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებებმა განსაზღვრონ იმ სპორტულ ნაგებობათა ნუსხა, რომლებიც საჭიროა, მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით,

დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლებისათვის და შეიმუშაონ წინადადებანი ზომების მისაღებად, რათა შეიქმნას მათში ორი-სამი წლის განმავლობაში სიბრტყითი სპორტული ბაზები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფიზიკური აღზრდის პროგრამის შესრულებას.

მიიღონ ზომები, რომ მშენებარე სკოლები აუცილებლად გადაეცეს საექსპლოატაციოდ მათთვის გათვალისწინებული სპორტული ნაგებობებით.

4. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ (ი. ბაცელაშვილი) სისტემატური კონტროლი დააწესოს განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და სკოლების მუშაობაზე მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის დარგში. პერიოდულად შეამოწმოს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მდგომარეობა და წარმოადგინოს სათანადო წინადადებანი კოლეგიაზე განსახილველად.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (თ ზახაშვილი) მოაწყოს ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი მუდმივმომქმედი სამთვიანი კურსები 100 კაცისათვის, ინსტიტუტის კონტინგენტისა და საბიუჯეტო ასიგნობათა ფარგლებში, აგრეთვე დაწყებითი კლასების ზოგადსაგანმანათლებლო საგნების მასწავლებელთა კურსები იმ მიზნით, რომ შეიძინონ მათ კვალიფიკაცია ფიზიკური კულტურის დარგში.

6. აბაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გააძლიერონ დახმარება და კონტროლი სკოლების მუშაობაზე, აამაღლონ სკოლის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საქმეში; მიიღონ ზომები, რომ როგორც გაკვეთილები, ასევე კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა ფიზიკურ კულტურასა და სპორტში ტარდებოდეს მაღალხარისხოვნად და საპროგრამო მოთხოვნილებების სრული შესაბამისობით. განახორციელონ სისტემატური ღონისძიებანი მოსწავლეთა სპორტული ოსტატობის ამაღლებისათვის.

სისტემატურად იზრუნონ ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა და მწვრთნელთა პროფესიულ-პედაგოგიური და იდეურ-თეორიული დონის ასამაღლებლად;

ბ) სრულ წესრიგში მოიყვანონ სასკოლო სპორტული ბაზები, მიაღწიონ იმას, რომ ყველა სკოლას ჰქონდეს შექმნილი აუცილებელი პირობები ფიზიკურ კულტურაში მეცადინეობის ნორმალურ პირობებში ჩატარებისათვის. მაქსიმალურად გამოიყენონ ამ საქმეში საშეფო და სხვა ორგანიზაციების დახმარება.

ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით მიიღონ ზომები, რათა სხვა უწყებების ნაგებობანი, მოწყობილობასთან და ინვენტართან ერთად, დღისით, უფასო სარგებლობისათვის დაეთმოთ სკოლებს ფიზკულტურის გაკვეთილებისა და სპორტულ-მასობრივი მუშაობის ჩასატარებლად.

გ) 1967 წელს და შემდგომ წლებში გაითვალისწინონ სკოლებისათვის ასიგნობათა გადიდება სპორტულ-მასობრივი მუშაობისათვის, სპორტული ინვენტარისა და მოწყობილობის შესაძენად;

დ) სპორტულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად მიიღონ ზომები, რათა ადგილებზე განვითარდეს მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა მოსწავლე ახალგაზრდობაში, უწინარეს ყოვლისა საცხოვრებელ ადგილას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 17 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ. 21 თებერვლის ბრძანება № 243

საქართველოს სსრ სპარტაკიადისა და სსრ კავშირის ხალხთა IV. საიუბილეო სპარტაკიადისათვის რესპუბლიკის მოსწავლეთა სპორტული კოლექტივების მზადების მიმდინარეობის შესახებ

ზემდგომმა ორგანოებმა მიიღეს დადგენილება საქართველოს სსრ და სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისათვის რესპუბლიკის სპორტული კოლექტივების მზადების მიმდინარეობის შესახებ.

აღნიშნული დადგენილების შესასრულებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ (ი. ბაცელაშვილი):

სისტემატური კონტროლი დააწესოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების სასწავლო-საწვრთნელ მუშაობაზე, მიიღოს ყველა ზომა ნაკრები გუნდების წვრთნისათვის საჭირო პირობების შექმნისა და მათი მაღალხარისხოვნად მომზადებისათვის;

გაზარდოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების უფროსი მწვრთნელების პირადი პასუხისმგებლობა გუნდების მომზადებაზე, მიიღოს ზომები სპორტის სახეობებში გუნდების მომზადების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

საქართველოს სპორტკავშირის სათანადო განყოფილებებთან ერთად, უზრუნველყოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდები სპორტული ფორმითა და საჭირო სპორტული ინვენტარით.

პერიოდულად მომახსენოს ზემდგომი ორგანოების დადგენილების—საქართველოს სსრ სპარტაკიადის ჩატარებისა და 1967 წელს ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაში საქართველოს სპორტული დელეგაციის მონაწილეობის შესახებ—შესრულების მიმდინარეობაზე. ჩატარებული მუშაობის შედეგებზე მოამზადოს სათანადო მასალები 1967 წლის 15 ივნისს მოსახსენებლად.

2. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებასთან ერთად, სისტემატური კონტროლი დააწესოს, რათა გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატის სპორტული ბირთვი გადაცემული იქნას საექსპლოატაციოდ 1967 წლის პირველი აპრილისათვის.

3. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ა. კვაჭაძე), ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებასთან ერთად, დააზუსტოს ხარჯები, რაც დაკავშირებულია მოსწავლეთა რესპუბლიკური და სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის მომზადებასა და ჩატარებასთან და წარმოადგინოს სათანადო წინადადება.

4. განათლების სამინისტროს სპორტულმა სკოლამ (დ. კინწურაშვილი) გააძლიეროს მუშაობა მოსწავლეთა ნაკრებ გუნდებთან, უზრუნველყოს ნაკრები გუნდების წევრები სპორტული ტანსაცმელითა და საჭირო სპორტული ინვენტარით, მიიღოს ზომები სასწავლო-საწვრთნელ მუშაობაში შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა შესაბამის სპორტკავშირებთან ერთად:

გააძლიერონ მუშაობა შიდასასკოლო, სარაიონო, საქალაქო, საოლქო და ზონალური სპარტაკიადების მაღალ დონეზე ჩასატარებლად, უზრუნველყონ მოსწავლე-სპორტსმენებთან რეგულარული სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ჩატარება.

ფართოდ გაშალონ მარტივი სპორტული მოედნების (კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის, ჩოგბურთის, ფეხბურთისა და სხვ.) მშენებლობა იმ ანგარიშით, რომ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის თითოეულ სკოლას ჰქონდეს თავისი სპორტული ბაზა.

6. აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა გაერთიანებულ სხდომაზე 1967 წლის 17 იანვარს განიხილეს საკითხი ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესაბამისად სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისათვის რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები გუნდების მზადების მიმდინარეობის შესახებ და მიიღეს სათანადო დადგენილება.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 17 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ. 22 თებერვლის ბრძანება № 251

საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის შესრულების და მისი განუხრელი განხორციელების შესახებ

აღვნიშნავ, რომ ჩვენი რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა სკოლების ხელმძღვანელებთან და პედაგოგიურ კოლექტივებთან ერთად მთელი რიგი ღონისძიებები გაატარეს საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის შესრულებისათვის.

გატარებულ ღონისძიებათა შედეგად 1966—1967 სასწავლო წლის დასაწყისისათვის რესპუბლიკამ შეასრულა ბავშვთა და მოზარდთა სწავლებაში ჩაბმის სახალხო-სამეურნეო გეგმა. გეგმით I—X კლასებში სწავლებაში ჩაბმული უნდა ყოფილიყო 858.840 ბავშვი. ფაქტიურად ჩაბმული იქნა 859777. აქედან I—VIII კლასებში, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 747.780-ისა—753715.

მიღებული ზომების შედეგად სკოლებს დაუბრუნდა 1826 ბავშვი, ამაღლდა მოსწავლეთა აკადემიური წარმატება, განმტკიცდა სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

კარგად დაიწყო და პირველი სერიოზული წარმატებებია მოპოვებული საყოველთაო საშუალო განათლების თანდათანობით შემოღების განხორციელებაში. რესპუბლიკის სკოლების რვაკლასდამთავრებულთა 79% სწავლას განაგრძობს მეცხრე კლასებში, 3,5% კი ტექნიკუმებსა და სხვა სახის სპეციალურ საშუალო სასწავლებლებში.

ამასთან ერთად, საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი კანონის განხორციელების საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები, რაც იმის შედეგია, რომ ზოგიერთი სკოლის ადმინისტრაცია და განათლების განყოფილების მუშაკი სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდება ამ საქმეს.

ბავშვთა და მოზარდთა სწავლებაში ჩაბმის სახალხო, სამეურ-
ნეო გეგმა ვერ შეასრულეს და ბავშვთა გარკვეული რაოდენობა
დააკლდათ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს (172), დმანისის
(427), ახალციხის (259), ახალქალაქის (258), მახარაძის (125),
წალკის (98), ჩხოროწყუს (58), კასპის (53), თიანეთის (45) და სხვა
რაიონებს.

სასწავლო წლის დასაწყისისათვის რესპუბლიკაში 2887 ბავშვი
და მოზარდი იყო დარჩენილი სკოლის გარეთ.

დმანისის რაიონის სკოლებიდან გასულია ან არ არის ჩაბმული
სწავლებაში 251 ბავშვი და მოზარდი. განათლების განყოფილების
ცნობით ანგერვანის, ბაღჩილარის, უქენდის, მამიშლარის, პანთიანის
დაწყებითი სკოლების 130 კურსდამთავრებული ვერ აგრძელებს
სწავლას ამ სკოლებიდან რვაწლიანი და საშუალო სკოლების დიდი
მანძილით დაშორების გამო. ზოგიერთი სკოლიდან დიდი რაოდენ-
ობით არის განთესილი ბავშვები. მაგ. ქვ. ორზუმანის რვაწლიანი
სკოლიდან განთესილია 13, ქვემო გაზაქლოს რვაწლიანი სკოლიდან
8, პანთიანის რვაწლიანი სკოლიდან 15, კიზილ ქილისის საშუალო
სკოლიდან 14, ანგერვანის რვაწლიანი სკოლიდან—12, დაგის რვა-
წლიანი სკოლიდან—12, კიზილ აჯილოს რვაწლიანი სკოლიდან—7,
ბაღჩალარის რვაწლიანი სკოლიდან—16, უქენდის დაწყებითი სკოლი-
დან—9, მამიშლარის რვაწლიანი სკოლიდან—9, ვაკის რვაწლიანი
სკოლიდან განთესილია 14 მოსწავლე და ა. შ.

სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის სკოლებიდან განთესილია სასკოლო
ასაკის 127 ბავშვი. ცუდი მდგომარეობაა ზნაურის რაიონის სკო-
ლებში, სასწავლო წლის დასაწყისიდან მარტო ავნევის საშუალო
სკოლიდან გასულია 43 მოსწავლე.

ამავე სკოლაში სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგე-
ბის მიხედვით 49 მეორეწლიანი მოსწავლიდან ვერ ასწრებს 26.

აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებული
შემოწმებით გამოირკვა, რომ მარტო 73 სკოლიდან მეორე მეოთხე-
დის ბოლოსათვის გასული იყო 89 ბავშვი.

ახალციხის რაიონში მიმდინარე სასწავლო წელს სკოლას
ჩამოშორდა 44 ბავშვი, ახალქალაქის რაიონში—49, კასპის რაიო-
ნის საქადაგიანოს რვაწლიანი სკოლიდან განთესილია 9, ნიგოზის
რვაწლიანი სკოლიდან—3, ალიანის საშუალო სკოლიდან—2, ახალ-
ციხის რვაწლიანი სკოლიდან—2, კასპის საშუალო სკოლიდან—2

მოსწავლე. ქარელის რაიონის სკოლებიდან გასულია 11 მოსწავლე, მეორე მეოთხედის ბოლოსათვის თბილისის სკოლებიდან სწავლას ჩამოშორებულია 29 მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ცნობილია, მოსწავლეთა სკოლიდან განთესვის დიდი პროცენტი მოდის V—VIII კლასებზე. მაშინ, როცა რესპუბლიკაში მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა I—IV კლასებში გადაჭარბებითაა შესრულებული (ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 392,465-სა სწავლობს 402800 მოსწავლე), V—VIII კლასებში გეგმის შესრულებას აკლია 4400 ბავშვი (გეგმით იყო 355315, ფაქტიურად სწავლობს 350915). I—VIII კლასების მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესრულებას, მიუხედავად V—VIII კლასებში გეგმის შესრულებისა, აფხაზეთის ასსრ-ში დააკლდა 734 ბავშვი, აჭარის ასსრ-ში—297, ქ. თბილისში—307, ქ. ჭიათურაში—154, ბოგდანოვკის რაიონში—92, ბორჯომის რაიონში—75, გორის რაიონში—79, გურჯაანის რაიონში—66, დუშეთის რაიონში—156, ზუგდიდის რაიონში—150, ქარელის რაიონში—189, ყვარელის რაიონში—117, მარნეულის რაიონში—352, მახარაძის რაიონში 134, სამტრედიის რაიონში—70, სიღნაღის რაიონში—41, თერჯოლის რაიონში—52.

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები, სკოლების პედაგოგიური კოლექტივები ყველგან არ ეწევიან სათანადო მუშაობას მოსწავლეთა განთესვის თავიდან ასაცილებლად, არ ზრუნავენ მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ასამაღლებლად და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად, რაც მთავარია საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განუხრელად გატარებას არ უკავშირებენ მოსწავლეთა აკადემიური წარმატების დონის ამაღლებისა და მეორეწლიანობასთან ბრძოლის საკითხს. არ შეიძლება შევურიგდეთ იმას, რომ სკოლებში ჯერ კიდევ დიდია მეორეწლიან მოსწავლეთა რაოდენობა. სასწავლო წლის დასაწყისში რესპუბლიკის სკოლების I—VIII კლასებში 40.630 მეორეწლიანი ირიცხებოდა. 5 სექტემბრის მდგომარეობით კი მასობრივი სკოლების I—VIII კლასებში სწავლას აგრძელებდა მხოლოდ 36779 მეორეწლიანი. დაუჯერებელია, რომ ამ კლასების 3851 მეორეწლიანი მოსწავლე სათანადო ნებართვის გარეშე გადავიდა და სწავლას აგრძელებს პროფტექნიკურ სასწავლებლებსა და მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში. მეორეწლიანთაგან 5 სექტემბრის მონაცემების მიხედვით მასობრივი სკოლების I—VIII კლასებში არ სწავლობს აფხაზეთის ასსრ-ში 670, აჭარის ასსრ-ში

329, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქში 102, ქ. თბილისში—257, ქ. ჭიათურაში—56, ქ. რუსთავში—147, ქ. გორში—133, ახალქალაქის რაიონში—64, ახალციხის რაიონში—122, ბოლნისის რაიონში—65, გარდაბნის რაიონში—121, გურჯაანის რაიონში—75, დმანისის რაიონში—62, ზესტაფონის რაიონში—96, ლაგოდეხის რაიონში—70, მარნეულის რაიონში—166, მახარაძის რაიონში—80, თელავის რაიონში—64, თერჯოლის რაიონში—59, წალკის რაიონში—58 და ა. შ.

ცუდათაა დაყენებული სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვის საქმე ახალციხის და ახალქალაქის რაიონების რიგ სკოლებში (მინაძე, სხვილისი, ურაველი, დილისკა, კარზახი და სხვა).

ზოგან, გარდა უხარისხოდ შედგენილი საკომლო სიებისა, ბავშვთა აღრიცხვის არავითარი საბუთი არ არსებობს; აღრიცხვის მასალები ხშირად სინამდვილეს არ შეესაბამება. განათლების განყოფილებები და სკოლები სათანადოდ არ იბრძვიან ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. უფრო მეტიც, ახალქალაქის რაიონის ბეჟანის, ვაჩიანის, კარზახის საშუალო სკოლებს თავიანთი სამოქმედო უბნებიც კი არ აქვთ დადგენილი, რის გამო დაუზუსტებელია ბავშვთა ახლად მისაღები კონტინგენტი.

მოუწესრიგებელია მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის საქმე. მაგალითად, ახალციხის რაიონის მუსხის საშუალო სკოლაში არ აქვთ მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალი, ხოლო გასული სასწავლო წლის ზოგიერთი საკლასო ჟურნალი ადგილზე არ აღმოჩნდა, რის გამო ძნელია განთესილ მოსწავლეთა დადგენა.

ახალციხის რაიონის ბეჟანის საშუალო სკოლის I კლასში მისაღებად აღრიცხული იყო 26 ბავშვი, სკოლაში კი ჩაირიცხა 20, დანარჩენი ბავშვების სკოლაში მიღებაზე არ უზრუნვიათ და ამის შესახებ სკოლას არც რაიმე საბუთი გააჩნია.

დმანისის რაიონის განათლების განყოფილებამ I—IV კლასებში მისაღები კონტინგენტი 379 ბავშვით მეტი უჩვენა.

რიგი სკოლები არ ზრუნავენ მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესრულებისათვის, მაგ., ჩხოროწყუს რაიონის 33 საშუალო და რვაწლიანი სკოლიდან გეგმა არ შეუსრულებია 23 სკოლას. გეგმის შესრულებას დააკლდა ზუმის საშუალო სკოლაში—32, ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლაში—19, მეორე ჯუმითის რვაწლიან სკოლაში—10, ლეწურწუმის საშუალო სკოლაში—9, ნაკიანის საშუალო სკოლაში—7 მოსწავლე. ყველაფერი ეს

იმით აიხსნება, რომ ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებები გადამჭრელ ზომებს არ ღებულობენ საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განუხრელად განსახორციელებლად, ურიგდებიან ამ გარემოებას, რომ ზოგიერთი მასწავლებელი მეტად დაბალ მეცნიერულ და მეთოდურ დონეზე ატარებს გაკვეთილებს, რაც მეორეწლიანობისა და მოსწავლეთა სწავლას ჩამოშორების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) სათანადო ღონისძიებანი გაატარონ განათლების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა მიმართვის განსახორციელებლად და უდიდესი კულტურულ-პოლიტიკური ამოცანის—1970 წლისათვის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დასამთავრებლად დარაზმონ განათლების თითოეული მუშაკი, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ პირველ კლასში ჩარიცხული ყოველი მოსწავლე ამთავრებდეს რვა კლასს;

ბ) შესწავლილი იქნას V—VIII კლასებში მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შეუსრულებლობის საკითხი;

გ) საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოცდების შედეგების მიხედვით I—VIII კლასებში დატოვებულ მოსწავლეთა პერსონალური სიების მიხედვით ზუსტად დაადგინონ თუ სად სწავლობენ ისინი;

დ) 1967 წლის 30 მარტამდე დააზუსტონ სკოლებში ჩაუბმელ და სკოლებიდან განთესილ მოსწავლეთა რაოდენობა, მიიღონ საჭირო ზომები ახალი სასწავლო წლიდან სკოლაში მათი დაბრუნებისათვის;

ე) მკვეთრად აამაღლონ სკოლის ხელმძღვანელთა და პედაგოგიური კოლექტივების პასუხისმგებლობა საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელებისათვის და მიიღონ მკაცრი ზომები მათ მიმართ, ვინც უპასუხისმგებლოდ ეკიდება და უგულებელყოფს ამ ფრიადმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეს;

ვ) ყველა ზომა მიიღონ სკოლებში სწავლებისა და აღზრდის მაღალი დონის მისაღწევად, რისთვისაც მასწავლებელთა ყოველი

გაკვეთილი გახადონ სრულყოფილი, აამაღლონ სწავლების იდეურ-პოლიტიკური დონე, აღზარდონ ახალგაზრდობა მაღალი შეგნებით, საფუძვლიანი ცოდნით, პრაქტიკული შრომის უნარით;

ზ) საგანგებო მუშაობა ჩაატარონ ყველა მეორეწლიან მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და მათი შემდგომ კლასში გადაყვანის უზრუნველსაყოფად.

2. სამხრეთ ოსეთის, დმანისის, ახალციხის, ახალქალაქის, მახარაძის, წალკის, ჩხოროწყუს, კასპის, თრანეთის რაიონების განათლების განყოფილებებმა შეისწავლონ I—VIII კლასებში მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შეუსრულებლობის საკითხი და სათანადოდ დასაბუთებული მოხსენებითი ბარათები ა/წლის 30 მარტამდე წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, ქალაქების თბილისის და ჭიათურის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, გორის, გურჯაანის, დუშეთის, ზუგდიდის, ქარელის, ყვარლის, მარნეულის, სამტრედიის, სიღნაღის, თერჯოლის რაიონების განათლების განყოფილებებმა შეისწავლონ V—VIII კლასებში მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შეუსრულებლობის საკითხი და მოხსენებითი ბარათები ა/წლის 30 მარტამდე წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს.

4. აფხაზეთის და აჭარის ასსრ სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქების: თბილისის, ჭიათურის, რუსთავის, გორის და ახალქალაქის, ახალციხის, ბოლნისის, გარდაბნის, გურჯაანის, დმანისის, ზესტაფონის, ლაგოდეხის, მარნეულის, მახარაძის, თელავის, თერჯოლის, წალკის, რაიონების განათლების განყოფილებებმა ზუსტად შეისწავლონ მეორეწლიანთა სწავლებაში ჩაბმის მდგომარეობა და ა/წ 30 მარტამდე წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს სათანადო მოხსენებითი ბარათები და ადგილებზე იქონიონ პერსონალური სიები თუ სად სწავლობენ ისინი.

5. საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებისა და არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის ახალქალაქის რაიონის განათლების განყ-ბის გამგეს კ. კარახანიანს, ახალციხის რაიონის განათლების განყ-ბის გამგეს ამხ. ბ. ახვლედიანს მიეთითოთ.

მათვე დაევალოთ გადამწყვეტი ზომები მიიღონ საყოველთაო 8-წლიანი განათლების კანონის განხორციელების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონების და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა აღნიშნული ბრძანება განიხილონ კოლეგიებსა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე და სათანადო სასჯელი დაადონ იმ სკოლის ხელმძღვანელებს, რომლებიც სათანადოდ არ იბრძვიან საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განსახორციელებლად.

7. სკოლების სამმართველომ (ამხ. ჯავახია) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 10 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ. 22 თებერვლის ბრძანება № 252

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღეების ჩატარების შესახებ

საბჭოთა ხალხი და მასთან ერთად ყველა ქვეყნის მშრომელები დიდი სიხარულით ემზადებიან პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დაარსების მსოფლიო-ისტორიული თარიღის 1967 წლის 7 ნოემბრის—დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის 50 წლისთავის შესახვედრად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ. მასში ღრმად და მკაფიოდ არის გაშუქებული ამ დიდი ისტორიული თარიღის უდიდესი საკაცობრიო მნიშვნელობა. დადგენილება აჯამებს საბჭოთა ხალხის ნახევარსაუკუნოვანი ტიტანური ბრძოლისა და შრომის შედეგებს, რომლებმაც პოლიტიკურ-უუფლებობიდან—სოციალისტურ დემოკრატიამდე, ეროვნული ჩაგვრიდან—თანასწორუფლებიანობამდე, ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობიდან—თანამედროვე ინდუსტრიის, მეცნიერების, ტექნიკის და კულტურის უმაგალითო აყვავებამდე მიიყვანა ჩვენი ქვეყანა.

კომუნიზმის გზაზე ჩვენი ქვეყნის წინსვლაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო სკკპ XXIII ყრილობა, რომელმაც განსაზღვრა კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპის მთავარი ამოცანები. ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანები და გეგმები ახალ ძალებს, ახალ ენერგიას მატებენ საბჭოთა ადამიანებს. ახლა მთელ ჩვენს თვალუწვდენელ სამშობლოში დაძაბული შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული და ყოველ წუთს ჩვენი ადამიანებისათვის ახალ-ახალი შრომითი გამარჯვების სასიხარულო ცნობები მოაქვს.

ამჟამად საბჭოთა სკოლისა და მასწავლებლობის საქმიანობაც მთლიანად მიმართულია სახალხო განათლების იმ კონკრეტული ამოცანების წარმატებით გადაჭრისაკენ, რომლებიც პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებითა და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილებითაა დასახული.

უდიდეს სოციალურ და ეკონომიურ გარდაქმნებში, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის მანძილზე მოხდა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რესპუბლიკის სახალხო განათლების მუშაკებმა; ეჭვს გარეშეა, რომ საბჭოთა მასწავლებელთა მრავალათასიანი არმია კვლავაც მთელ თავის ცოდნას, ენერგიას მოახმარს ახალგაზრდა თაობის სწავლა-აღზრდის კეთილშობილურ საქმეს, წარმატებით დაძლევს ყველა სიძნელეს და ახალი თვალსაჩინო წარმატებებით შეხვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

რესპუბლიკის მრავალ სკოლას, სკოლა ინტერნატსა, საბავშვო ბაღსა და სხვა სასწავლო-საალმზრდელო დაწესებულებებში დიდი ხანია, რაც ცხოვრების ყველა დარგში ფართო და ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობს იმ მიმართულებით, რათა მოსწავლე ახალგაზრდობამ ღრმად შეისწავლოს და კონკრეტულად წარმოიდგინოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ძლევამოსილი წინსვლა ამ ორმოცდაათი წლის განმავლობაში.

— ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლისგარეშე დაწესებულებებსა და განათლების სამინისტროს სხვა დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ზეიმისათვის მზადებას ორგანიზებული ხასიათი რომ ჰქონდეს, აუცილებელია მის ჩასატარებლად შეიქმნას საორგანიზაციო საიუბილეო კომისიები, რომლებმაც უნდა შეიმუშაონ იუბილეს ჩატარების კონკრეტული გეგმები. ამ კომისიებს ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, ხოლო მათში წევრებად მოზიდულნი უნდა იქნენ პარტიული ბიუროს, პროფესიული კავშირის, კომკავშირისა და მშრომელთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

— სკოლებსა, სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ზეიმისათვის მზადებამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლე ახალ-

გაზრდობაში მეცნიერებათა საფუძვლების ღრმად დაუფლებას, რევოლუციური და შრომითი ტრადიციების, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთების განვითარებას, ახალგაზრდობას უნდა ჩავუნერგოთ კომუნიზმის იდეებისადმი ერთგულება, მაღალი მორალური თვისებები, უნარი იმისა, რომ ყველაზე მაღლა აყენებდნენ სოციალისტური სამშობლოს ინტერესებს, მედგრად იცავდნენ ოქტომბრის მონაპოვარს. ყველა საგნის მასწავლებელმა პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალა უნარიანად უნდა დაუკავშიროს ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით ჩვენი პარტიის რევოლუციური ბრძოლის, საბჭოთა ხალხის მამაცობისა და გმირობის, თავდადებული შრომის მაგალითებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამავე დაწესებულებებში ფართოდ გაიშალოს ამ თარიღისათვის სამზადისი, მუშაობა კლასგარეშე ხაზით და სკოლის მთელი საწრეო საქმიანობა დაექვემდებაროს ამ დარგში დასახულ ამოცანებს; მომზადდეს სათანადო მხატვრული ინსცენირებანი, მომღერალთა გუნდები, გამოფენა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში; შედგენილ იქნეს ალმანახები, კედლის გაზეთები, ალბომები, გაკეთდეს მხატვრულად გაფორმებული სტენდები და ამ ღონისძიებებში რაც შეიძლება დიდი რაოდენობით ჩავაბათ მოზარდები.

— სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებმა უნდა მოაწყონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი დილები. ამ თარიღისათვის აქედანვე უნდა დაიწყონ მზადება, რამაც გამოხატულება უნდა ჰპოვოს აღმზრდელობითი მუშაობის ყოველდღიურ გეგმებში. ბავშვებისათვის გასაგები უნდა გახადონ, რომ ამ დღესასწაულს ზეიმობს მსოფლიოს ყველა ხალხი. საბავშვო ბაღის აღმზრდელებმა მარტივი და გასაგები ენით უნდა გააცნონ ბავშვებს ამ თარიღის ისტორიული მნიშვნელობა. ამავე დროს უნდა მოეწყოს დღესასწაულისადმი მიძღვნილი ბავშვთა გამოსვლები, სიმღერები, ცეკვები, ინსცენირებანი და სხვ.

— პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებსა და სახლებში ჩატარებულმა ღონისძიებებმა, რომლებიც მიძღვნილი იქნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავისადმი, ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლე ახალგაზრდობაში აქტივობისა და ინიციატივის გამოვლენას, ცოდნის გაღრმავებას, დამოუკიდებელი მუშაობისა და შემოქმედებითი უნარის გამომუშავებას. ამ მიზნით

საიუბილეო დღეებში უნდა მოეწყოს მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციები, ბუნების ნორჩ მეგობართა, ნორჩ მხარეთმცოდნეთა, მებაღეთა, ნორჩ მხაზველთა და არქიტექტორთა შეკრებები, თემატური დილა-საღამოები, რევოლუციის ვეტერანებთან შეხვედრები, სპორტული ზეიმები, ღირსშესანიშნავი ადგილების შესწავლა, ექსკურსიები და სხვ. საიუბილეო დღეებში პიონერთა და მოსწავლეთა სახლებსა და სასახლეებში უნდა მოეწყოს საიუბილეო დღისადმი მიძღვნილი გამოფენები და სტენდები.

მოწონებულ იქნეს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მიერ შემუშავებული ღონისძიებანი საიუბილეო დღეებისათვის მზადებისა და მათი ჩატარების შესახებ.

— ბავშვთა საექსკურსიო ტურისტულმა სადგურმა საიუბილეო დღეებში უნდა ჩაატაროს კონკურსი საუკეთესო მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კუთხის მოსაწყობად- 1967 წლის ზაფხულის მანძილზე მოაწყოს რაიონული, საქალაქო შეკრებები საუკეთესო კვალისმძებნელთათვის ისტორიული და ღირსშესანიშნავი ადგილების გასაცნობად, შექმნას სკოლებთან სასარგებლო წიაღისეულის მაძიებელთა რაზმები, ფენოლოგიური ჯგუფები, მოაწყოს ლაშქრობა შრომითი და საბრძოლო დიდების ადგილებში, გაატაროს ღონისძიებანი ბუნების დაცვისათვის.

— მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მხატვრული აღზრდის კაბინეტის მიერ დამუშავებული რეკომენდაციები სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების პერიოდში ესთეტიკური მუშაობის შესახებ;

დასახელებულმა კაბინეტმა სისტემატური ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიოს მუშაობის წარმართვაში სკოლებს ამ რეკომენდაციების მიხედვით.

— პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში 1967 წლის ოქტომბრის თვის მეორე ნახევარში უნდა ჩატარდეს თემატიკური ორდღიანი სამეცნიერო სესია; იუბილის დღისათვის მომზადდეს და გამოიცეს კრებული „სახალხო განათლება საბჭოთა საქართველოში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავზე“.

1967 წლის 6 ნოემბერს პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩატარდეს დიდი ოქტომბრის სო-

ციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდაათი წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით დამუშავდეს პედაგოგიური კითხვის სანიმუშო თემატიკა და საჭირო ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიოს მასწავლებლებს ადგილებზე.

— მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა მასწავლებელთა კურსებზე ყველა საგანში გარკვეული საათები დაუთმოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ თემატური ხასიათის საუბრების ჩატარებას. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მომზადდეს მონოგრაფია ინსტიტუტის მუშაობის შესახებ. ჩაატარდეს სესია თემაზე „ინსტიტუტის მუშაობა მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადების საქმეში“.

— სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმში მოეწყოს გამოფენა მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი. გამოფენაზე ფართოდ აისახოს სახალხო განათლების მდგომარეობა—დიაგრამებით, ფოტორეპროდუქციითა და ნატურით.

— ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა სკოლებსა, სკოლა ინტერნატებსა, სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებებში იუბილესათვის მზადების პერიოდში შეარჩიონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ამსახველი საუკეთესო მასალები და ცალკეული ექსპონატები სახალხო მეურნეობის მიღწევათა და სხვა გამოფენებზე გასაგზავნად;

ეს ექსპონატები აპრილის ბოლო რიცხვებში გადმოგზავნილ უნდა იქნას განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოში.

— მოწონებულ იქნას გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციის ინიციატივა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად სახალხო მასწავლებლების კეთილშობილური შრომისა და ახალი ადამიანის აღზრდის თემებზე დაწერილი საუკეთესო მხატვრული ნაწარმოების გამოსავლინებლად კონკურსის მოწყობის შესახებ.

— გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა სისტემატურად გამოაქვეყნონ გაზეთისა და ჟურნალის ფურცლებზე საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის 50

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის მანძილზე სახალხო განათლების დარგში მოპოვებულ წარმატებათა ამსახველი მასალები.

— სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოებმა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ ხელმძღვანელობა გაუწიონ სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მზადების მიმდინარეობას. ა/წ 1 აგვისტოსათვის მოამზადონ საკითხი კოლეგიაზე განსახილველად.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 1 მარტის ბრძანება № 281

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მე-2 პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში განათლების ორგანოების მონაწილეობის შესახებ

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მე-2 პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში პედაგოგიური საზოგადოებრიობის წარმატებით მონაწილეობის უზრუნველსაყოფად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) სკოლის დირექტორებისა და უფროს პიონერხელმძღვანელთა რაიონულ საქალაქო თათბირებზე განიხილონ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგები;

ბ) დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების მასწავლებლებს დეტალურად გააცნონ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მე-2 პლენუმის შედეგები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მათი განხორციელებისათვის;

გ) კომკავშირის სასკოლო ორგანიზაციებთან ერთად პიონერებთან მუშაობისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პიონერ-მოსწავლეებში იდეური რწმენის, ცოდნის, შრომისადმი სიყვარულის დანერგვას, ინიციატივის, თვითმოქმედების განვითარებას და დაუკავშირონ ყოველივე ეს სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას;

დ) დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების პერიოდში კვალიფიციური მუშაკების საშუალებით ჩაატარონ პიონერ-მოსწავლეებთან ფართო პროპაგანდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი წყობილების, ცხოვრების უპირატესობათა შესახებ, განუმარტონ მათ კომუნიზმის მშენებელი ხალხის გმირობის სიდიადე, წითელკავალმაძიებლების მოძრაობის, პიონერული ექსპედიციების ლენინურ ადგილებში მოგზაურობის შინაარსი;

ე) ხელი შეუწყონ და დაეხმარონ პიონერულ რაზმეულებსა და რაზმებს ფესტივალების, კონკურსების, სპორტული შეჯიბრებების, ნორჩი ფიზიკოსების, ქიმიკოსების, მათემატიკოსების, ისტორიკოსების, გეოგრაფების ოლიმპიადებისა და კონკურსების ჩატარების, საბრძოლო დიდების ოთახების, კუთხეების, სამხედრო კაბინეტების, სამხედრო ტექნიკური და სამხედრო გამოყენებითი წრეების, ბანაკების, გასამხედროებული თამაშობების, მრავალდღიანი ლაშქრობების, სპორტული სათამაშო მოედნების, ბიბლიოთეკების მოწყობის საქმეში;

ვ) პიონერთა და მოსწავლეთა სახლები გადააქციონ პიონერ-მოსწავლეთა, პიონერული აქტივის, პიონერხელმძღვანელებისა და საქალაქო პიონერთა ბანაკების დასაყრდენ პუნქტად;

ზ) ალკკ საოლქო, სარაიონო, საქალაქო კომიტეტებთან ერთად გააუმჯობესონ პიონერთა და მოსწავლეთა სახლების მუშაკთა და უფროს პიონერხელმძღვანელთა შემადგენლობა, ამ საქმეში ჩააბან ნიჭიერი და გამოცდილი მუშაკები;

თ) აქტიურად შეუწყონ ხელი იმას, რომ კომკავშირის კომიტეტები პიონერებთან თავის ყოველდღიურ მუშაობაში ეყრდნობოდნენ მასწავლებლების დახმარებასა და მხარდაჭერას. მათ ავტორიტეტს, ცოდნას, ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და პედაგოგიურ ოსტატობას, ხოლო პიონერებში ინერგებოდეს ღრმა პატივისცემა მასწავლებლებისადმი—მათი ყველაზე ახლო მეგობრებისა და პირველი დამრიგებლისადმი, რადგან ასეთი თანამშრომლობა მოსწავლეთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის აუცილებელი პირობაა;

ი) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პიონერ მოსწავლეთა ესთეტიკურ აღზრდას, გააცნონ ბავშვები მსოფლიო კულტურის საგანძურს და იზრუნონ მათში მაღალი ზნეობისა და ესთეტიკური კულტურის დანერგვისათვის.

პიონერებთან და მოსწავლეებთან კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დროს ფართოდ მოიზიდონ მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები და სხვა შემოქმედებითი მუშაკები.

2. ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის (ამხ. ჯ. კვარაცხელია), ნორჩ ტურისტთა ცენტრალური სადგურის (ამხ. მ. ერისთავი), ნორჩ ტექნიკოსთა (ამხ. გ. ეპიტაშვილი), მხატვრული აღზრდის სამეცნიერო მეთოდური კაბინეტის (ამხ. ჯ. მუჯირი), ნორჩ ნატურალისტთა სადგურის (ამხ. შ. მანგიაშვილი) დირექტორებმა, განყოფილებათა და კაბინეტ-ლაბორატორიების გამგეებს, წრის ხელმძღვანელებს გააცნონ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მე-2 პლენუმის დადგენილება და მუშაობა წარმართონ პლენუმის დადგენილების წარმატებით შესრულებისათვის.

3. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) რესპუბლიკის სკოლებში პერიოდულად შეისწავლოს აღნიშნული ბრძანების შესრულების მიმდინარეობა და შედეგები წარმოადგინოს კოლეგიაზე განსახილველად,

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 14 მარტის ბრძანება № 343

ტექნიკურ საშუალებათა სწავლებაში გამოყენების შესახებ

როგორც შემოწმებით გამოირკვა, რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონების ბევრ სკოლაში მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების გაუმჯობესებისათვის. მოწინავე სკოლებში უკვე გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები სასწავლო პროცესებში ტექნიკურ საშუალებათა მრავალმხრივი გამოყენებისა და დაპროგრამებულ სწავლებაზე გადასვლისათვის. რესპუბლიკის ზოგიერთ სკოლაში ახალი მასალის ახსნის, ცოდნა-ჩვევების განმტკიცების, მოსწავლეთა ცოდნის შემოწმების, თვითსწავლებისა და თვითკონტროლის პროცესში სწავლების ტექნიკური საშუალებანი უნარიანად არის გამოყენებული.

საგრძნობლად გაიზარდა ცენტრალური თანხები ტექნიკურ საშუალებათა შესაძენად, რის შედეგადაც სკოლების სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიები შევსებული იქნა კინოაპარატებით, საპროექციო ფარნებით, ეპიდიასკოპებით, მაგნიტოფონებით, რადიოკვანძებით.

მიმდინარე სასწავლო წელს 38 საქალაქო და რაიონული ფილმოთეკა შეივსო ისეთი ახალი სასწავლო კინოფილმებით, როგორიცაა „რხევები და ტალღები“, „ტელეხედვა“, „მ. ი. ლერმონტოვი“, „იშვიათი ცხოველები“ და სხვ.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ ქ. ქ. ქუთაისისა (გამგე მ. მაღლაქველიძე) და რუსთავის (გამგე ბ. ერისთავი) ფილმოთეკები, სადაც მუდმივ ხმარებაშია 502 დასახელების სხვადასხვა სასწავლო კინოფილმი, აქვე აწარმოებენ დაზიანებული აპარატურის შეკეთებას, კინოფილმების მონტაჟს და განოტივებას. ტექნიკურ საშუალებათა სწავლებაში გამოყენების საქმეში კვალიფიციური მეთოდური დახმარება ეწევა მასწავლებლებს, ლაბორანტებსა და სკოლის

სხვა მუშაკებს, შედგენილია სხვადასხვა მეთოდური მითითება, ტარდება მოკლე ვადიანი სემინარები კინოდემონსტრატორთა [illegible] სკოლებს ცალკეული საგნებიდ მიხედვით დაეგზავნათ სასწავლო კინოფილმების სახელობითი სია.

ქ. რუსთავის ფილმოთეკას სათანადო დახმარებასა და კონტროლს უწევს განათლების განყოფილება (გამგე ს. როსნაძე). მიმდინარე სასწავლო წლის პირველ ნახევარში განათლების განყოფილების მიერ შესწავლილი და განათლების საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების საქმეში სკოლებისადმი საქალაქო ფილმოთეკების დახმარების საკითხი.

შემოწმებული ქალაქებისა და რაიონების სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი არსებულ ტექნიკურ საშუალებებს წარმატებით იყენებენ სწავლებაში. მათ სწორად გაიგეს, რომ ტექნიკურ საშუალებათა გონივრული გამოყენება, თვალსაჩინოების სხვა სახეობასთან ერთად, საუკეთესო საშუალებაა გაკვეთილის ეფექტიურობის გაზრდის, მაღალი აკადემიური წარმატების მიღწევისა და მეორეწლიანობის ლიკვიდაციისათვის. ასე, მაგალითად, ქ. მახარაძის პირველი საშუალო სკოლის ფიზიკისა და ელექტროტექნიკის მასწავლებელ მ. მუჯირს მუდამ მზადყოფნაში აქვს ყველა სახის აპარატურა და საჭიროების შემთხვევაში მოხერხებულად, მინიმალური დროის დახარჯვით იყენებს როგორც სასწავლო კინოფილმებს, ასევე თვალსაჩინოების სხვა საშუალებებსაც. ასევე კარგად იყენებენ ტექნიკურ საშუალებებს სწავლებაში ფიზიკის მასწავლებლები დ. მესხი და ლ. ჯაშიაშვილი (ქ. თბილისის 77-ე საშ. სკოლა), ს. მეტრეველი (ქ. თბილისის 112-ე საშ. სკოლა), მ. ბურჭულაძე (ქ. თბილისის 132-ე საშ. სკოლა), მ. სეფიაშვილი (ყვარლის პირველი საშ. სკოლა), ქიმიის მასწავლებელი მ. ჩართოლანი (მესტიის საშუალო სკოლა), ბიოლოგიის მასწავლებელი მ. ტყაბლაძე (ქ. ქუთაისის მე-7 საშუალო სკოლა), გეოგრაფიის მასწავლებლები ნ. ჭეიშვილი და უ. ლობჟანიძე (ქ. თბილისის 88-ე საშ. სკოლა), უცხო ენის მასწავლებელი რ. მეძმარიაშვილი (ქ. ქუთაისის მე-3 სკ.), ხაზვის მასწავლებელი ე. გაჩეჩილაძე (ქ. გორის მე-6 საშ. სკოლა) და დაწყებითი კლასის მასწავლებელი ლ. შარაბიძე (ქ. ქუთაისის I-ლი საშ. სკოლა).

მიუხედავად ამისა, შესწავლილ ქალაქებისა და რაიონების სკოლების მუშაობაში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების საქმეში

სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი. ჯერ კიდევ ბევრ სკოლაში საქმე ამ მიმართულებით დაბალ დონეზე დგას და ვერ პასუხობს იმ გაზრდილ მოთხოვნილებებს, რასაც ამ ჟამად სკოლის წინაშე ცხოვრება აყენებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგ სკოლებში, განსაკუთრებით კი რვაწლიან სკოლებში შექმნილი არ არის სათანადო სასწავლო ტექნიკური ბაზა, მოუწყობელია ტექნიკურ საშუალებათა კაბინეტები, ავტომატიზირებული კლასები და სხვ. სკოლებს არა აქვთ საშუალება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების საბაზო მაღაზიიდან შეიძინონ დიაპროექტორები („ლეტი", „სვეტი"), ფართო ეკრანიანი ტელევიზორები; სასწავლო მაგნიტოფონები, მიკროფონები, დღის ეკრანები, საპროექციო აპარატურის ნათურები და სხვა სათადარიგო ნაწილები.

რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული ფილმოთეკები საკმაო რაოდენობით არ მარაგდებიან სასწავლო კინოფილმებით. ახალი სასწავლო ფილმები 50 ეგზემპლიარის რაოდენობით ვერ აკმაყოფილებს რესპუბლიკის 38 ფილმოთეკის და სხვა ობიექტების მოთხოვნებს. სათანადოდ არ მარაგდება სკოლები ცალკეული საგნების მიხედვით დიაპოზიტივებით, დიაფილმებით; მოუგვარებელია დიაფილმების ადგილზე წარმოება.

რიგი ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა და პედაგოგიური კაბინეტების გამგეები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ფილმოთეკების მუშაობის გაუმჯობესების საქმეს. შეუფერებელ სადავსოებშია მოთავსებული ქ. ქ. ცხაკაიას, სოხუმის, გორის, მესტიისა და წყალტუბოს რაიონების ფილმოთეკები. წყალტუბოს, ხაშურის და ამბროლაურის რაიონის ფილმოთეკის გამგეები კმაყოფილდებიან ფილმების მიღება-გაცემით და მასწავლებელთა შორის არ ეწევიან მეთოდურ-ორგანიზაციულ მუშაობას. ქ. ქ. თბილისის, სოხუმის, დუშეთისა და სხვა ფილმოთეკის გამგეებს შეთავსებული აქვთ სხვა სამუშაოებიც, რაც დიდად უშლის ხელს მუშაობის ნორმალურად გაშლას.

შემოწმებით გამოირკვა, რომ რიგ სკოლებს, სრულიად არ აქვთ ფილმოთეკაში გახსნილი აბონემენტი და არ სარგებლობენ თვალსაჩინოების ამ საშუალებით. ასე, მაგალითად, მიმდინარე სასწავლო წელს არცერთი სასწავლო ფილმი არ გამოუყენებია ქ. თბილისის მე-10 საშუალო სკოლას (დირექტორი ს. მორჩილაძე), სადაც გასულ წელს კინოდემონსტრატორთა კურსები გაიარა სხვადასხვა

საგნის 32 მასწავლებელმა და სკოლის მუშაკმა. ასევე არ იყენებენ სწავლებაში კინოფილმებს ქ. თბილისის მე-9, მე-13, მე-16, 41-ე, 43-ე, 45-ე, 46-ე, 50-ე, 51-ე, 53-ე, 56-ე, 58-ე, 63-ე, 59-ე, 65-ე, 69-ე, 74-ე, 79-ე, 82-ე, 84-ე, 85-ე, 87ე-, 92-ე, 98-ე და 105-ე საშუალო სკოლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელთა ერთი ნაწილი ნაკლებადაა დაინტერესებული ტექნიკურ საშუალებათა სწავლებაში გამოყენებით, ხშირად არც კი იციან თუ რა შინაარსის ფილმებია ფილმოთეკაში, ვერ ფლობენ საპროექციო აპარატურაზე მუშაობის ტექნიკას, მისი სწავლებაში გამოყენების მეთოდებსა და ხერხებს, და რაც მთავარია, ვერც მის სწავლებაში გამოყენებას ახერხებენ.

ზოგიერთი სკოლის კაბინეტებსა და ლაბორატორიებში მუდმივ მოქმედებისათვის არაა მომზადებული ძირითადი საპროექციო მოწყობილობა, რის შედეგადაც მასწავლებლებს უძნელდებათ საპროექციო ფარნის სწავლებაში გამოყენება და გაკვეთილებს ვერტიკალური, ჰორიზონტალური, ჩრდილოვანი და მიკროპროექციების გარეშე ატარებენ. ასე, მაგალითად, ქ. ქუთაისის მე-11 საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებლებმა (თ. კიკვაძე, ნ. ცქიფურიშვილი) X კლასში დენიანი გამტარისა და დენიანი კოჭის მაგნიტური ველის სწავლებისას არ გამოიყენეს საპროექციო ფარანი ოპტიკური დგამით და მოსწავლეებს არ უჩვენეს მაგნიტური ველის სურათი.

ტექნიკურ საშუალებათა სწავლებაში წარმატებით გამოყენების საქმეს დიდად აფერხებს სათანადო საგნების მასწავლებელთა დაბალი ტექნიკური მომზადების დონე, ქართულ ენაზე სათანადო ლიტერატურის, სასწავლო კინოფილმების ანოტირებული კატალოგების, სამონტაჟო ფურცლების, ტექნიკური და მეთოდური ლიტერატურის უქონლობა და აგრეთვე ის გარემოება, რომ სკოლების ხელმძღვანელები სათანადოდ ვერ არიან დაუფლებულნი ტექნიკურ საშუალებათა სწავლებაში გამოყენების მეთოდებს და ვერ ახერხებენ უმარტივესი აპარატურის გამოყენებას; ყოველივე ამის შედეგად ისინი ვერ უწევენ მასწავლებლებს შესაფერის კონტროლსა და კვალიფიციურ დახმარებას ამ დარგში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი ტექნიკურ საშუალებათა სწავლებაში გამოყენების საქმეში. სისტემატურად და საფუძვლიანად შეისწავლონ სკოლებში ტექნიკურ საშუალებათა სწავლებაში გამოყენების არსებული მდგომარეობა და გაატარონ კონკრეტული ღონისძიება; ფართოდ დანერგონ სკოლებში მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცირონ ტექნიკურ საშუალებათა კაბინეტების მოწყობას მათი თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით შევსებას და სასწავლო მუშაობაში სისტემატურად გამოყენების საქმეს.

ბ) გაატარონ ღონისძიებანი ფილმოთეკების შესაფერისი სათავსოებით უზრუნველყოფის და მათი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვისათვის;

გ) მიიღონ ზომები, რათა პედაგოგიური კაბინეტის მიერ მოწყობილ მასწავლებელთა საგნობრივ სექციებში სექციის ხელმძღვანელებმა გააცნონ მასწავლებლებს ტექნიკურ საშუალებათა სწავლებაში გამოყენების მეთოდები და ხერხები;

დ) უზრუნველყონ სკოლები საგნების მიხედვით ქალაქის, რაიონის ფილმოთეკაში არსებული სასწავლო კინოფილმების, დიაპოზიტივებისა და დიაფილმების სახელობითი სიებით;

ე) მოავლინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის კურსებზე მასწავლებლები, რომლებიც ვერ ფლობენ ტექნიკურ საშუალებათა სწავლებაში გამოყენების საქმეს;

ვ) გაათავისუფლონ ფილმოთეკის გამგის თანამდებობიდან შეთავსებით მომუშავე პირები და მათ ნაცვლად შეარჩიონ სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე მუშაკები;

ზ) განათლების სამინისტროების კოლეგიების, ავტონომიური ოლქის, რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებათა სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე განიხილონ სკოლებში ტექნიკურ საშუალებათა სწავლებაში გამოყენების საკითხი და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის დასახონ ქმედითი ღონისძიებანი.

2. სკოლების დირექტორებმა:

ა) ტექნიკურ საშუალებათა კაბინეტებისათვის გამოყონ შესაფერისი ოთახები, უზრუნველყონ კაბინეტები დგამ-ავეჯით, საპროექციო აპარატურით, მოაწყონ ელექტროგაყვანილობა და დაბნელება; სისტემატურად აწარმოონ კაბინეტების საჭირო ხელ-

საწყოებით, სასწავლო პლაკატებით, სქემებით და სხვა მასალებით შევსება;

ბ) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე, სისტემატურად შეამოწმონ ტექნიკურ საშუალებათა სწავლებაში გამოყენების მდგომარეობა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, თუ როგორ უკავშირებს მასწავლებელი საგნის სწავლებას პრაქტიკულ საქმიანობას, რამდენად იყენებს თვალსაჩინოებას სწავლებაში, ტარდება თუ არა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სადემონსტრაციო ცდები, პრაქტიკუმები და ფრონტალური ხასიათის ლაბორატორიული სამუშაოები;

გ) უზრუნველყონ მასწავლებელთა საგნობრივ მეთოდურ გაერთიანებებზე ტექნიკურ საშუალებათა შესწავლა და სწავლებაში მათი გამოყენების ხერხების გაცნობა.

3. გაუქმდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს საწარმოო სწავლების განყოფილება. ამ განყოფილების გამგე ს. ტონია განთავისუფლდეს თანამდებობიდან და გადაყვანილ იქნეს ფიზიკის სასკოლო ინსპექტორად, მასვე დროებით დაევალოს გაუწიოს ხელმძღვანელობა რესპუბლიკის სკოლებში ახალ ტექნიკურ საშუალებათა დანერგვის საქმეს. ამავე განყოფილების ინსპექტორები გ. შენგელია და ი. დიდებულიძე გადაყვანილ იქნენ სასკოლო ინსპექტორებად.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შრომითი პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების მეთოდური კაბინეტი რეორგანიზებულ იქნეს შრომითი—პოლიტექნიკური სწავლებისა და ტექნიკურ საშუალებათა მეთოდურ კაბინეტად;

დაევალოს საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილეს ი. ბეროზაშვილს წარმოადგინოს ღონისძიებანი შრომითი-პოლიტექნიკური სწავლებისა და ტექნიკურ საშუალებათა მეთოდური კაბინეტის ორგანიზაციისა და მისი უფლება-მოვალეობათა შესახებ.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა (გ. ფოფხაძე) მოამზადოს მეთოდური ლიტერატურა ტექნიკურ საშუალებათა სწავლებაში გამოყენებისა და დაპროგრამებული სწავლების შესახებ.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი):

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) მოაწყოს მოკლევადიანი კურს-სემინარები კინოდემონსტრატორთა მოსამზადებლად;

ბ) ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე უზრუნველყონ თითოეული მასწავლებლის მიერ სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების პრაქტიკული დაუფლება.

7. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ა. კვაჭაძე) გაადიდოს ასიგნობანი სასწავლო კინოფილმების, დიაფილმებისა და დიაპოზიტივების ასლების შესაძენად.

8. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ს. არველაძე) მიიღოს სათანადო ზომები სკოლების სასწავლო კინოფილმებით, დიაფილმებით, დიაპოზიტივებით, ახალი საპროექციო აპარატურით—„ლეტი", „სვეტი", ფონოდიაპროექტორებით, საპროექციო აპარატურის ნათურებით, სათადარიგო ნაწილებითა და სხვა დამხმარე მასალებით უზრუნველყოფისათვის.

9. სკოლების სამმართველომ (დ. ჯავახია) სისტემატური კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის 13 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. დადგენილება 1966—1967 წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ 3
2. დადგენილება—სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისათვის რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები გუნდების მზადების მიმდინარეობის შესახებ 19
3. ბრძანება № 101—კასპის რაიონის ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 24
4. ბითითებანი საღამის (ცვლის) მუშაობისა, სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მაღების შესახებ 37
5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიმართვა № 9/246 . . . 43
6. ბრძანება № 241—საქართველოს სსრ მოსწავლე ახალგაზრდობაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ 44
7. ბრძანება № 243—საქართველოს სსრ სპარტაკიადისა და სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისათვის რესპუბლიკის მოსწავლეთა სპორტული კოლექტივების მზადების მიმდინარეობის შესახებ . . 4
8. ბრძანება № 251 საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის შესრულების და მისი განუხრელი განხორციელების შესახებ . . . 51
9. ბრძანება № 252—დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღეების ჩატარების შესახებ . . 58
10. ბრძანება № 281—საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მე-2 პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში განათლების ორგანოების მონაწილეობის შესახებ 64
11. ბრძანება № 343—ტექნიკურ საშუალებათა სწავლებაში გამოყენების შესახებ 67

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 10 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/IV-67 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5. ქაღალდის ზომა 60×84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 5.

შეკვ. 438. უე—04896. ტირაჟი 5000.

თბილისის სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქ., 19.
Тбилисская типография № 11, ул. Уш. Чхеидзе № 19.